

შპს „ბრიტიშ დეველოპმენტი“

შპს „ვესტინგვესტი“

ქალაქ ბათუმში, ნინოშვილის ქ. №39-ში არსებული მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.23.02.020) და შ. რუსთაველის ქ. №44-ში არსებული მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.23.01.001), სამშენებლოდ განვითარების მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების

სკრინინგის ანგარიში



სარჩევი

1	შესავალი	5
2	სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების საკანონმდებლო საფუძველი.....	6
3	საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა და პროექტის აღწერა.....	7
4	სტრატეგიული დოკუმენტის სხვა სტრატეგიულ დოკუმენტებთან მიმართება.....	10
5	ინფორმაცია საქმიანობის განხორციელების ადგილის გარემოს ფონზე მდგომარეობაზე.....	10
5.1	ფიზიკური გარემო	10
5.1.1	კლიმატური პირობები.....	10
5.1.2	გეოლოგიური პირობები.....	16
5.1.3	ტექტონიკა და სეისმურობა.....	25
5.1.4	ჰიდროგეოლოგია	25
5.1.5	დაცული ტერიტორიები	26
5.2	სოციალურ ეკონომიკური გარემო.....	29
5.2.1	მოსახლეობის რაოდენობა	29
5.2.2	დასაქმება	30
5.2.3	ტურიზმი	30
5.2.4	განათლება და კულტურა	30
5.2.5	ლოგისტიკა.....	31
6	გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების ფაქტორები.....	31
6.1	მოსალოდნელი ზემოქმედების მოკლე აღწერა	31
6.1.1	ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიები და ხმაურის გავრცელება....	32
6.1.2	აკუსტიკური რეჟიმი	36
6.1.3	ნიადაგის და გრუნტის დაბინძურება.....	36
6.1.4	ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურება	37
6.1.5	ნარჩენების მართვა.....	37
6.1.6	ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება.....	38
6.1.7	ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ზემოქმედება	40
7	გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები	41
8	დასკვნა.....	44
9	დანართები.....	45
9.1	დანართი 1. ჰაერის საშუალო ტემპერატურის ცვლილებების რუკები.....	45
9.2	დანართი 2 ატმოსფერული ნალექების რაოდენობის ცვლილებების რუკები.....	47



9	დანართები.....	45
9.1	დანართი 1. ჰაერის საშუალო ტემპერატურის ცვლილებების რუკები	45
9.2	დანართი 2 ატმოსფერული ნალექების რაოდენობის ცვლილებების რუკები	47

ცხრილები

ცხრილი 1 ინფორმაცია დამგეგმავი ორგანოსა და საპროექტო კომპანიის შესახებ.....Error! Bookmark not defined.

ცხრილი 2 გარე ჰაერის ტემპერატურა, თვის საშუალო °C	10
ცხრილი 3 ჰაერის ტემპერატურის ამპლიტუდა, თვის საშუალო °C	11
ცხრილი 4 ჰაერის ტემპერატურის ამპლიტუდა, თვის მაქსიმალური °C	11
ცხრილი 5 გარე ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, %	11
ცხრილი 6 ნალექების რაოდენობა	11
ცხრილი 7 თოვლის საფარი.....	11
ცხრილი 8 ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 1,5,10,15,20 წელიწადში ერთხელ, მ/წმ	11
ცხრილი 9 ქარის მიმართულების განმეორებადობა (%) იანვარი, ივლისი.....	11
ცხრილი 10 ქარის საშუალო, უდიდესი და უმცირესი სიჩქარე, მ/წმ.....	11
ცხრილი 11 ქარის მიმართულებისა და შტილის განმეორებადობა (%) წელიწადში	11
ცხრილი 12 გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე, სმ	11
ცხრილი 13 PM10-ის, PM2.5-ისა და NO ₂ -ის საშუალო წლიური კონცენტრაციები (01.01.2019-31.12.2019)	Error! Bookmark not defined.
ცხრილი 14 ინდიკატორული გაზომვების ოთხი ეტაპის შედეგები ქალაქ ბათუმშიError! Bookmark not defined.	


ილუსტრაციები

ილუსტრაცია 1 გეგმარებითი ერთეულის ზედხედი	8
ილუსტრაცია 2 გეგმარებითი ტერიტორიის ხედები	9
ილუსტრაცია 3 სეისმური საშიშროების რუკა	25
ილუსტრაცია 4 ილუსტრაცია დაცული ტერიტორიების მდებარეობა გეგმარებით ობიექტთან მიმართებაში	26
ილუსტრაცია 5 ზურმუხტის სქელის საიტები	28
ილუსტრაცია 6 ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორია და ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ადგილი	29
ილუსტრაცია 7 მყარი ნაწილაკების (PM10) საშუალო სადღედამისო კონცენტრაციების გადაჭარბებების რაოდენობა	33

რუკები

რუკა 1 ჰაერის საშუალო ტემპერატურის ცვლილება (0C) იანვარში ორ ოცდაათწლიან პერიოდს შორის (1956–1985 და 1986–2015)

რუკა 2 ჰაერის საშუალო ტემპერატურის ცვლილება (0C) ივლისში ორ ოცდაათწლიან პერიოდს შორის (1956–1985 და 1986–2015)



რუკა 3 ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურის ცვლილება (0C) ორ თცდაათწლიან პერიოდს შორის (1956–1985 და 1986–2015)	46
რუკა 4 ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა (0C) 1986–2015 წლებში.....	46
რუკა 5 ატმოსფერული ნალექების საშუალო რაოდენობის ცვლილება (%) იანვარში ორ თცდაათწლიან პერიოდს შორის (1956–1985 და 1986–2015).....	47
რუკა 6 ატმოსფერული ნალექების საშუალო რაოდენობის ცვლილება (%) ივლისში ორ თცდაათწლიან პერიოდს შორის (1956–1985 და 1986–2015).....	47
რუკა 7 წლიური ატმოსფერული ნალექების საშუალო რაოდენობის ცვლილება (%) ორ თცდაათწლიან პერიოდს შორის (1956–1985 და 1986–2015).....	48
რუკა 8 ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა (მმ) 1986–2015 წლებში	48



1 შესავალი

წინამდებარე ანგარიში შეფეხბა ქალაქ ბათუმში, ნინოშვილის ქ. №39-ში არსებული მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.23.02.020) და ქ. ბათუმში, შ. რუსთაველის ქ. №44-ში არსებული მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.23.01.001) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას.

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 აგვისტოს №გ-15.15222341 განკარგულებით დამტკიცდა „ქალაქ ბათუმში, ნინოშვილის ქ. N39-ში და ქ. ბათუმში, რუსთაველის ქ. N44-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე N05.23.02.020 და N05.23.01.001 განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 16 მარტის Nბ14.142107510 ბრძანების საფუძველზე შემუშავებული, ქ. ბათუმში, შოთა რუსთაველის ქუჩით, სიიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობასა და შპს „ტურინგესტი“-ს შენობას შორის არსებული ქუჩითა და N05.23.01.001 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარე საზოგადოებრივი სივრცის შოთა რუსთაველის ქუჩასთან შეერთებით შემოსაზღვრული ტერიტორიის (კვარტალის) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია.

აღნიშნული ტერიტორიისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის შემუშავების საფუძველს წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 16 მარტის Nბ14.142107510 ბრძანება „ქალაქ ბათუმში, ნინოშვილის ქ. N39-ში და ქ. ბათუმში, რუსთაველის ქ. N44-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე N05.23.02.020 და N05.23.01.001 განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე“.

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცესი წარმოადგენს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული ერთერთ ძირითად ინსტრუმენტს. სგშ-ს შეფასების პროცედურა ქმნის საფუძველს სხვადასხვა სფეროებში განსახორციელებელი პროექტების შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად, როგორიცაა ქალაქებებისა, სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, მრეწველობა, ტრანსპორტი, რეგიონული განვითარება, მიწათსარებლობა, ნარჩენების, ან წყლის რესურსების მართვა და სხვა. აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ადამიანთა ცხოვრებაზე ზემოქმედების მქონე სამომავლო გადაწყვეტილებებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, გადაწყვეტილებების მიღებისას გათვალისწინებული იქნას გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მოსაზრებები.

სგშ-ს პროცედურა საშუალებას იძლევა გადაწყვეტილებების მიმღებმა პირებმა შეძლონ სხვადასხვა საპროექტო გადაწყვეტილებების დადებითი და უარყოფითი მხარეების ურთიერშედარება. შესაბამისად, სგშ აუმჯობესებს გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გამჭვირვალობასა და მის მიმართ სანდოობას. საბოლოო ჯამში, სგშ წარმოადგენს კარგ საშუალებას რათა შესაბამისმა ორგანოებმა, მიიღონ ეკონომიკური განვითარების სწორი გადაწყვეტილებები, რომლებიც თანაბრად სასარგებლო იქნება როგორც ადამიანის ჯანმრთელობისათვის და გარემოსათვის, ასევე მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის.

წინამდებარე სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკრინინგის ანგარიში მოიცავს ინფორმაციას საკვლევი არქელის ფინანსური გარემოს ფონურ მდგომარეობის შესახებ, საპროექტო კონცეფციის განხორციელებით გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე

№ 530 ხლახლა



№ 530 ხლახლა



მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების წინასწარ შეფასებას და ამ ზემოქმედებების შემარბილებელ ღონისძიებებს.

ცხრილი 1 ინფორმაცია დამგეგმავი ორგანოსა და საპროექტო კომპანიის შესახებ დამგეგმავი როგანო მისამართი წარმომადგენელი პირის ელექტრონული ფოსტა	ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია ლ. ასათიანის ქ. N25, ბათუმი (6010) info@batumi.ge
წარმომადგენელი პირის ტელეფონი საპროექტო კომპანია	577 27 26 38 შპს „ბრიტიშ დეველოპმენტი“ შპს „ვესტინგჰუსტი“ ქალაქი ბათუმი, შ. ხიმშიაშვილის ქ. N7ბ, სართული 3, ბლოკი "A" ქალაქ ბათუმში, ნინოშვილის ქ. №39-ში არსებული მიწის ნაკვეთი (ს.კ. 05.23.02.020) და შ. რუსთაველის ქ. №44- ში არსებული მიწის ნაკვეთი (ს.კ. 05.23.01.001)
კომპანიის მისამართი საქმიანობის განხორციელების ადგილის მისამართი	გელა მახარაძე gmakharadze@orbigroup.net
წარმომადგენელი პირი წარმომადგენელი პირის ელექტრონული ფოსტა	577 54 01 00

2 სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების საკანონმდებლო საფუძველი

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს 20-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება სავალდებულოა იმ სტრატეგიული დოკუმენტისთვის, რომელიც წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციული ორგანოს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს, რომლითაც დგინდება სამომავლო განვითარების ჩარჩო კოდექსით განსაზღვრულ სექტორებში (მათ შორის, დაგეგმარება და სივრცითი მოწყობა) და კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული საქმიანობების სახეობებისთვის განისაზღვრება მახასიათებლები ან/და მოცულობები. სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურის გავლის მიზნით, დოკუმენტაცია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებში წარმოდგენილი უნდა იქნას დამგეგმავი ორგანოს მიერ, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 22-ე მუხლის შესაბამისად. ამასთან, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს 20-ე მუხლის მე-6 პუნქტის, მიხედვით თუ დამგეგმავი ორგანო მიიჩნევს, რომ კონკრეტული პროექტისთვის სგშ- ის ჩატარება საჭირო არ არის, იგი უფლებამოსილია სგშ-ს საჭიროების განსაზღვრის მიზნით გამოიყენოს კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურა, რომლის შედეგების მიხედვით ჩატარდება ან არ ჩატარდება სგშ.

სტრატეგიული დოკუმენტის სკრინინგის განხორციელების და სათანადო ანგარიშის შედგენის შემდეგ დამგეგმავი ორგანო უფლებამოსილია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში სამინისტროები) მიმართოს სკრინინგის განცხადებით, წარუდგინოს სკრინინგის ანგარიში და სტრატეგიული დოკუმენტის პროცედურა ან პროექტი. დამგეგმავი ორგანო ბათუმის



მუნიციპალიტეტის მერია სამინისტროებს წარუდგენს სკრინინგის ანგარიშსა და სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფცია/პროექტის სგშ-ს საჭიროების დადგენის მიზნით.

სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში სამინისტროები და დამგეგმავი ორგანო სკრინინგის განცხადებასა და სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფციას/პროექტს ოფიციალურ ვებგვერდებზე განათვალისწინებენ. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო უზრუნველყოფს წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და მისი წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებას. მოთხოვნის შემთხვევაში, სამინისტროები უზრუნველყოფენ აღნიშნული დოკუმენტების ნაბეჭდი ეგზემპლარების ან ელექტრონული ვერსიების ხელმისაწვდომობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 34-ე მუხლის თანახმად, საზოგადოებას უფლება აქვს, ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 7-დღის განმავლობაში, წარადგინოს მოსაზრებები და შენიშვნები მითითებულ დოკუმენტებთან დაკავშირებით. სამინისტროები იხილავენ საზოგადოების მიერ წარმოდგენილ შენიშვნებს და, შესაბამისი საფუძველის არსებობის შემთხვევაში, მხედველობაში იღებენ მათ მოსაზრებებს. სამინისტროები სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან არაუდრეს მე-10 დღისა და არაუგვიანეს მე-15 დღისა ინდივიდუალურად იღებენ გადაწყვეტილებას, რომლითაც განისაზღვრება სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების საჭიროება/არსაჭიროება. სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში სამინისტროები შედეგის შესახებ პასუხს უგზავნიან დამგეგმავ ორგანოს.

3 საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა და პროექტის აღწერა

ნინოშვილის ქ. N39-ში არსებული და რუსთაველის ქ. N44-ში არსებული გეგმარებითი ობიექტი მდებარეობს ქალაქ ბათუმის ცენტრალურ ზონის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდებარე კვარტალში და მოქცეულია შოთა რუსთაველის, ე. ნინოშვილის და ამ ქუჩებს შორისი გასასვლელებს შორის.

პროექტის მიხედვით გეგმარებით ერთეულზე დაგეგმილია ორი სასტუმროს დანიშნულების მრავალსართულიანი შენობის განთავსება, რომელთა დაახლოებითი სიმაღლე იქნება 180 მეტრი, სართულიანობა იქნება დაახლოებით 55 სართული. კომპლექსის ძირითად ნაწილში განთავსებული იქნება სასტუმრო ნომრები/აპარტამენტები, ხოლო ნაწილში (ძირითადად ე.წ. „სტილობატში“ და კომპლექსის ბოლო სართულებზე) განთავსდება სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების საზოგადოებრივი და კომერციული ფართები (რესტორნები, სპორტულგამაჯანსაღებელი ცენტრები, ბრენდული მაღაზიები და სხვა). დასაგეგმარებელი ტერიტორიები წარმოადგენს შპს „ბრიტიშ დეველოპმენტი“-ს (8 000,00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი) და შპს „ვესტინგვესტი“-ს (3 508,00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი) საკუთრებას, გეგმარებითი ერთეული სულ მოიცავს 4 მიწის ნაკვეთს და მათი ფართობი შეადგენს 24 756,00 კვ.მ-ს, კერძოდ:

საკადასტრო კოდი	ფართობი კვ.მ.
1 05.23.02.004	8843,00
2 05.23.02.020	8000,00
3 05.23.02.025	4405,00
4 05.23.01.001	3508,00
	24756,00



№ 530 ხლახა

№ 530 ხლახა



ილუსტრაცია 1 გეგმარებითი ერთეულის ზედხედი



№ 533 ბლკი 1



№ 533 ბლკი 1



ილუსტრაცია 2 გეგმარებითი ტერიტორიის ხედები



აღნიშნულის განხორციელება საჭიროებს განაშენიანების გამჭიდროებას - განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გაზრდას დადგენილი 4,6-დან 16,0-მდე.

დადგენილი კ2 მაჩვენებლის გადამეტება წარმოადგენს საერთო ქალაქებებითი ხასიათის ცვლილებებს და ამასთან „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილია კ1/კ2 მაჩვენებლის გადამეტების საფუძველი - გდგ, რაც იწვევს დაგეგმვის საჭიროებას და შესაბამისად ქალაქ ბათუმის მერიის მიერ 2021 წლის 16 მარტს გამოცემულ იქნა N814.142107510 ბრძანება „ქალაქ ბათუმში, ნინოშვილის ქ. N39-ში და ქ. ბათუმში, რუსთაველის ქ. N44-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე N05.23.02.020 და N05.23.01.001 განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე“, რომლის საფუძველზე შემუშავდა განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია.

ზემოქმედებას დაქვემდებარებული ტერიტორიის ფართობი 11 508 კვადრატულ მეტრს შეადგენს, ხოლო განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციით გათვალისწინებული ღონისძიებები განხორციელდება არაუგვიანეს 2027 წლის 31 დეკემბრისა.



4 სტრატეგიული დოკუმენტის სხვა სტრატეგიულ დოკუმენტებთან მიმართება

„თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ ბათუმის გენერალური გეგმის მიხედვით საპროექტო მიწის ნაკვეთები მდებარეობს შერეული ზონაში (შზ), ხოლო „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის №25 განვარგულებით დამტკიცებული განაშენიანების გეგმის მიხედვით კი საქმიან ზონაში (შზ-3).

შემუშავებული, იერარქიულად ქვედა დონის დოკუმენტის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის მიხედვით, საპროექტო ნაკვეთების ზონირება არ იცვლება და რჩება იგივე, კერძოდ, ზოგადი ზონირების მიხედვით შერეულ ზონად (შზ), ხოლო უფლებრივ კონკრეტული ზონირების მიხედვით საქმიან ზონად (შზ-3), რაც ასახულია განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციაში. ამასთან, განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციით გათვალისწინებული სასტუმრო დანიშნულების შენობა, ზემოთხსენებულ ზონაში წარმოადგენს ნებადართულ სახეობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გეგმარებითი ობიექტის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია შესაბამისობაშია და არ ეწინააღმდეგება სხვა სტრატეგიულ (მათ შორის იერარქიულად ზედა დონის) დოკუმენტებს.

5 ინფორმაცია საქმიანობის განხორციელების ადგილის გარემოს ფონურ მდგომარეობაზე

5.1 ფიზიკური გარემო

5.1.1 კლიმატური პირობები

აჭარის ტერიტორია განისაზღვრება როგორც ზღვისპირა ტენიანი სუბტროპიკული კლიმატის ზონა, რომელიც მოიცავს მთელ დასავლეთ საქართველოს და გრძელდება ლიხის მთის ქედამდე. ამ ზონის კლიმატი ფორმირებულია მისი მდებარეობის ზემოქმედებით სუბტროპიკული და საშუალო განედით, ატმოსფეროს ცირკულაციის პროცესით და ოროგრაფული მოდელებით.

ვიწრო სანაპირო ზოლი შავი ზღვის გასწვრივ აჭარაში წარმოადგენს კახაბრის დაბლობს, რომელიც მდებარეობს კოლხეთის დაბლობის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ძლიერი და თბილი მასები, მომავალი ხმელთაშუაზღვიდან შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაპირისკენ ათბობს აჭარას ცივი ზამთრის სეზონის დროს. საშუალო ტემპერატურა ყველაზე ცივ თვეებში (იანვარი-თებერვალი) შეადგენს 7.1°C – 7.2°C . საშუალო ტემპერატურა ყველაზე თბილ თვეში (აგვისტო) დაახლოებით შეადგენს 23.2°C . ქვემოთ ცხრილებში წარმოდგენილია კლიმატური მახასიათებლები ქალაქ ბათუმის მეტეო სადგურის მიხედვით.

ცხრილი 2 გარე ჰაერის ტემპერატურა, თვის საშუალო $^{\circ}\text{C}$

პუნქტის დასახელება	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
ბათუმი, ქალაქი	7,1	7,2	8,4	11,5	15,3	20,0	22,8	23,2	20,3	16,6	12,0	8,6	14,5

№ 530 ხლახლა



№ 530 ხლახლა



ცხრილი 3 ჰაერის ტემპერატურის ამპლიტუდა, თვის საშუალო 0C

პუნქტის დასახელება	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
ბათუმი, ქალაქი	7,4	7,3	7,5	7,1	7,0	7,3	6,7	7,0	7,6	8,2	7,9	7,5

ცხრილი 4 ჰაერის ტემპერატურის ამპლიტუდა, თვის მაქსიმალური 0C

პუნქტის დასახელება	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
ბათუმი, ქალაქი	17,4	17,9	19,2	21,2	19,1	18,5	17,5	15,8	16,6	16,0	17,0	15,0

ცხრილი 5 გარე ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, %

პუნქტის დასახელება	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
ბათუმი, ქალაქი	76	78	80	81	82	80	81	83	85	86	83	77

ცხრილი 6 ნალექების რაოდენობა

პუნქტის დასახელება	ნალექების რაოდენობა წელიწადში, მმ	ნალექების დღელამური მაქსიმუმი, მმ
ბათუმი, ქალაქი	2599	231

ცხრილი 7 თოვლის საფარი

პუნქტის დასახელება	თოვლის საფარის წონა, კპა	თოვლის საფარის დღეთა რიცხვი
ბათუმი, ქალაქი	0,50	10

ცხრილი 8 ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 1,5,10,15,20 წელიწადში ერთხელ, მ/წდ

პუნქტის დასახელება	1	5	10	15	20
ბათუმი, ქალაქი	19	24	26	27	28

ცხრილი 9 ქარის მიმართულების განმეორებადობა (%) იანვარი, ივლისი

პუნქტის დასახელება	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ
ბათუმი, ქალაქი	6/5	6/3	10/3	18/6	14/15	33/33	8/20	5/15

ცხრილი 10 ქარის საშუალო, უდიდესი და უმცირესი სიჩქარე, მ/წდ

პუნქტის დასახელება	იანვარი	ივლისი
ბათუმი, ქალაქი	3,8/1,0	2,2/0,8

ცხრილი 11 ქარის მიმართულებისა და შტილის განმეორებადობა (%) წელიწადში

პუნქტის დასახელება	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	შტილი
ბათუმი, ქალაქი	9	7	8	11	14	31	12	8	43

ცხრილი 12 გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სილრმე, სმ

პუნქტების დასახელება	თიხოვანი და თიხნარი	წვრილი და მტვრისებრი ქვიშის ქვიშნარი	მსხვილი და საშ. სიმსხვილის ხრეშისტური ქვიშის	მსხვილნატეხი
ბათუმი, ქალაქი	0	0	0	0

ცხრილებში წარმოდგენილი მონაცემები აღებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანებიდან (№1-1/1743 2008 წლის 25 აგვისტო ქ. თბილისი) დაპროექტების ნორმების – „სამშენებლო კლიმატოლოგია“ – დამტკიცების შესახებ. „დაპროექტების ნორმების – „სამშენებლო კლიმატოლოგია“ – დამტკიცების შესახებ“ | www.mre.gov.ge). „საქართველოს საკანონმდებლო მინისტრის ბრძანების შესახებ“ | www.mre.gov.ge.



რ. 530 ხლახლა



5.1.1.1 კლიმატის მიმდინარე ცვლილება

2021 წელს გამოვიდა საქართველოს მეოთხე ეროვნული შეტყობინება კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი, რომელიც მომზადებულია გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) ხელშეწყობით. ანგარიში მოიცავს ინფორმაციას როგორც იმ სათბურის აირების შესახებ, რომლებიც არ რეგულირდება ოზონდამშლელი ნივთიერებების შესახებ მონრეალის ოქმით, ასევე კონვენციის განხორციელებისათვის ქვეყნის მიერ გადადგმული ან დაგეგმილი ნაბიჯების ზოგად აღწერას. FNC-ის დოკუმენტი შედგება შემდეგი ხუთი ნაწილისაგან: ეროვნული გარემოებები, სათბურის აირების ინვენტარიზაციის ანგარიში, შერბილების პოლიტიკა, მოწყვლადობა და ადაპტაცია და სხვა ინფორმაცია, რაც მოიცავს კლიმატის ცვლილების ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი მიმართულებების ინტეგრირებას, ორმხრივი შეთანხმებების, კლიმატის ცვლილებისათვის რელევანტური კვლევების, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პოლიტიკის დოკუმენტებისა და შემდგომი საჭიროებების ანალიზს.

მეოთხე ეროვნულ შეტყობინებაში, კლიმატის მიმდინარე ცვლილების შესაფასებლად საქართველოს მეტეოროლოგიური ქსელის 39 სადგურის 60-წლიანი პერიოდის (1956-2015 წლები) მონაცემებზე დაყრდნობით შესწავლილ იქნა მეტეოროლოგიური ელემენტების საშუალო და ექსტრემალური მნიშვნელობების ინტენსივობისა და განმეორებადობის ცვლილების ხასიათი. სადგურები შერჩეულ იქნა საქართველოს ტერიტორიის კლიმატური თავისებურებების ოპტიმალურად გათვალისწინების მიზნით, ასევე, ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის საფუძველზე.

შეფასებულ იქნა ტემპერატურის, ნალექების, და ჰაერის ფარდობითი ტენიანობისა და ქარის სიჩქარის წლიური, სეზონური და თვიური ცვლილების ტენდენციები ორ 30-წლიან პერიოდს (1956–1985 და 1986–2015 წლები) შორის. ვინაიდან საშუალო სიდიდეებით ხშირად შეუძლებელია კლიმატის ცვლილების სხვადასხვა სექტორებზე სოციალურ-ეკონომიკური ზეგავლენის შეფასება, კლიმატური პარამეტრების საშუალო მნიშვნელობებთან ერთად გამოთვლილ იქნა 35 კლიმატური ინდექსი.

საშუალო ტემპერატურა. ორ განსხილულ 30-წლიან პერიოდს (1956-1985 და 1986-2015 წლები) შორის ქვეყნის ტერიტორიაზე მიწისპირა ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა მომატებულია თითქმის ყველგან, მხარეების მიხედვით $0.25\text{--}0.58^{\circ}\text{C}$ ფარგლებში, საშუალოდ ტერიტორიაზე ნაზრდი 0.47°C შეადგენს. დათბობის პროცესი შედარებით ინტენსიურად მიმდინარეობს სამეცნიელოში (ზუგდიდსა და ფოთში თანაბრად, 0.630°C -ით). ტემპერატურის არასაკმარისად საიმედო ცვლილებები აღინიშნა აჭარა-გურიის მაღალმთიან მხარეში. ყველაზე ნიშვნადი დათბობა გამოვლინდა დედოფლისწყაროს რაიონში (ორ პერიოდს შორის წლიური ნაზრდია 0.73°C).

საშუალო მაქსიმალური ტემპერატურა. საშუალო მაქსიმუმების წლიური მნიშვნელობა საგრძნობლად იზრდება თითქმის მთელ ტერიტორიაზე. გამონაკლისია, ძირითადად, მთანი რაიონები აჭარა-გურიასა და რაჭა-ლეჩხუმში, ასევე, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორია, სადაც ჩამოყალიბებულია მშრალი სუბტროპიკული (სტეპის) ჰავა.

საშუალო მაქსიმუმების ცვლილების უდიდესი სიჩქარეები გამოვლინდა შავი ზღვის სანაპირო ზოლსა და კოლხეთის დაბლობის მიმდებარე რაიონებში, ასევე, სამხრეთ საქართველოს მთიანეთში. დასატუმერატურების მიხედვით დათბობა შედარიცხოვნის მიმდინარებს აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით, სამხრეთ

საქართველოს მთიანეთში. საშუალო ტემპერატურის მსგავსად, საშუალო მაქსიმუმების ზრდაც ძირითადად გამოწვეულია ზაფხული-შემოდგომის მაქსიმუმების აწევით.

საშუალო მინიმალური ტემპერატურა. საშუალო მინიმუმების წლიური მნიშვნელობები გაზრდილია ქვეყნის უმეტეს ტერიტორიაზე, თუმცა, ამ პარამეტრის მიხედვით, დათბობის ტენდენცია ქვეყნის მხოლოდ ერთ ნაწილს შეეხო. ღამის ტემპერატურის ნაზრდი 1956-1985 წლების პერიოდთან მიმართებაში 1°C -მდე ფარგლებშია. მაქსიმალური დათბობა გამოვლინდა კახეთში. დასავლეთ საქართველოში აღმავალი ტრენდები აღინიშნა შავი ზღვის სანაპირო ზოლში, კოლხეთის დაბლობზე და ლიხის ქედის მიმდებარე რაიონებში.

ჰაერის საშუალო ტემპერატურის ცვლილებების რუკები მოცემულია დანართში 1.

ნალექების რაოდენობა. დასავლეთ საქართველოში ნალექების წლიური რაოდენობა ძირითადად გაზრდილია, ხოლო აღმოსავლეთის რიგ რაიონებში - შემცირებული, თუმცა ნალექების წლიური ჯამების ცვლილების ხასიათი უმეტესად არასამედოა და გამოკვეთილ ტენდენციებს ადგილი არ აქვს. დასავლეთში ნალექების საშუალო წლიური რაოდენობის ცვლილების ტენდენციები თითქმის ყველგან დადებითია, ორ პერიოდს შორის უდიდესი გადახრა ($15\%-მდე$) და შესაბამისად, ყველაზე მდგრადი ზრდის ტენდენცია, ფოთსა და ხულოში გამოვლინდა ($60-75$ მმ/10 წელიწადში). გამონაკლისია მხოლოდ გურიის მხარესა და აჭარის მაღალ მთაში (გოდერძის უღელტეხილი) გამოვლენილი ნალექების კლების ნიშვნადი ტენდენციები. აღმოსავლეთში წლიური ნაზრდი მაქსიმალურია და შესაბამისი ტენდენციები ნიშვნადია ლაგოდებში ($17\%, 75$ მმ/10 წელიწადში), ნალექების შემცირება კი ყველაზე ინტენსიურია თითქმით (- $18\%, 39$ მმ/10 წელიწადში).

ნალექების დღედამური მაქსიმუმები. რაც შეეხება ერთ და ხუთ დღე-დამეში მოსული ნალექების მაქსიმალურ რაოდენობას, საქართველოს ტერიტორიაზე უმეტესად აღინიშნება ამ პარამეტრების ზრდა. შემცირების ტენდენციები კი გამოვლინდა ქვეყნის ცენტრალურ რაიონებში (იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი, შიდა ქართლი), თუმცა ცვლილების ტენდენციები, ძირითადად, არამდგრადია და მხოლოდ რამდენიმე მდგრადი ტრენდი გამოვლინდა. ორ 30-წლიან პერიოდს შორის 1-დღიური მაქსიმუმების გადაჭარბების შემთხვევები უმეტეს ტერიტორიაზე დაფიქსირდა იანვარსა და მაისში, 5-დღიურების - ასევე, ნოემბერშიც. წლიური მაქსიმუმების გადაჭარბების სიდიდეები $70-80$ მმ-ს აღწევს (ქობულეთი, ლაგოდები), ხოლო 5-დღიური მაქსიმუმებისა - $150-160$ მმ-მდე ფიქსირდება (ამბროლაური).

ატმოსფერული ნალექების რაოდენობის ცვლილებასთან დაკავშირებული რუკები მოცემულია დანართში 2.

ჰაერის საშუალო ფარდობითი სინოტივე. დაკვირვების მონაცემებით, საშუალო წლიური ფარდობითი სინოტივის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი $1986-2015$ წლებში დაიკვირვებოდა ქვემო ქართლში (საშუალოდ 69%) და საგარეჯოში (66%). სინოტივის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (89%) მთა-საბუეთში იყო დაფიქსირებული. $1956-1985$ წლების მიმართ ფარდობითი სინოტივის დაკვირვებული ცვლილება უმნიშვნელოა, მაქსიმალური მატებაა (7%) თელავში, მაქსიმალური კლება (4%) - საგარეჯოში.

ფარდობითი სინოტივის ექსტრემალური მნიშვნელობები (ნოტიო და მშრალი დღეები). ნოტიო დღეების ($\text{შუაღლის ფარდობითი სინოტივე მეტია } 80\%$) რაოდენობა გაზრდილია საქართველოს უმეტეს ტერიტორიაზე. წლიურ ციკლში მნიშვნელოვანი ცვლილებები ზოგადად დაიკვირვება. როგორც ჭრველ, ისე მეორე 30-წლიან პერიოდში, წლის განმავლობაში

№ 533 ხლახლა



№ 533 ხლახლა



ნოტიო დღეების მაქსიმალური რაოდენობა ზამთრის დასაწყისში (დეკემბერში) და, ნაწილობრივ, იანვარში დაიკვირვება.

რაც შეეხება, ექსტრემალურად მშრალ დღეებს (დღელამის მინიმალური ფარდობითი სინოტივე ნაკლებია 30%), თითქმის მთელს ტერიტორიაზე აღინიშნება ასეთი დღეების შემცირება, რაც წლის განმავლობაში განპირობებულია აპრილ-მაისში მშრალი დღეების ნიშვნადი კლებით. ორ პერიოდს შორის შემცირების წლიური სიდიდე საშუალოდ ტერიტორიაზე 6-8 დღეს შეადგენს. ყველაზე გამოკვეთილად იკლებს იმერეთში (საშუალოდ, 11 დღემდე), ქუთაისში კი შემცირებულია 27 დღით. რიგ რაიონებში, ძირითადად, გაზაფხულზე კახეთში და შემოდგომის დასაწყისში მთელს აღმოსავლეთ საქართველოში, ასეთი დღეების გახშირება გამოვლინდა. ტენდენციები ნიშვნადია კახეთში, სადაც წლიური ნაზრდი 6-9 დღეს, გაზაფხულზე კი 4-5 დღეს შეადგენს.

სინოტივის ექსტრემულების ანალიზი ადასტურებს და ხსნის საშუალო ფარდობითი სინოტივის ცვლილების გამოვლენილ კანონზომიერებებს. კერძოდ, სინოტივის მატება გაზაფხულის სეზონზე განპირობებული უნდა იყოს უფრო მშრალი დღეების განმეორებადობის შემცირებით, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო დეკემბერ-იანვარში ტენიანობის მატება დაკავშირებული უნდა იყოს ამ თვეებში ნოტიო დღეების გახშირებასთან, რაც უფრო მეტად დასავლეთ საქართველოში შეინიშნება.

ქარის საშუალო სიჩქარის ცვლილებას თითქმის ყველა განხილული სადგურისათვის შემცირების ტენდენცია აქვს. ორ პერიოდს შორის ქარის საშუალო სიჩქარე საშუალოდ 1-2 მ/წმ-ით არის შემცირებული.

ქარის ექსტრემალური მნიშვნელობები (ძლიერქარიანი დღეები). ძლიერქარიან დღეთა (≥ 15 მ/წმ) რაოდენობის შემცირების ტენდენციები უფრო ძლიერია დასავლეთში, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში, ძირითადად დაიკვირვება მათი გახშირება. აღსანიშნავია ასეთი დღეების რიცხვის შემცირება ქუთაისში და განსაკუთრებით, ლიხის ქედის დასავლეთ კალთებზე (მთა-საბუეთი), სადაც ტრენდები გამოვლინდა ზაფხული-შემოდგომის სეზონებზე, ხოლო აღმოსავლეთში, მტკვრის ხეობაში, ასეთი დღეების ნიშვნადი ზრდა დაიკვირვება. გორში ძლიერქარიანი დღეების გახშირება ყველა სეზონზე დაიკვირვება. მსგავსი კანონზომიერებით იცვლება ექსტრემალურად ძლიერქარიან დღეთა (≥ 25 მ/წმ) განმეორებადობაც. კერძოდ, ასეთი დღეების ნიშვნადი კლება გამოვლინდა ქუთაისსა და მთა-საბუეთში, ხოლო მდგრადი ზრდა დაიკვირვება გორში, ასევე ფოთში.

კლიმატის ცვლილების სცენარი

მეოთხე ეროვნულ შეტყობინებაში, კლიმატის მოსალოდნელი ცვლილების პროგნოზირებისთვის გამოყენებულია RCP4.5 სცენარი, რომელიც გულისხმობს რადიაციული ბიუჯეტის სტაბილიზაციას 4.5 W/m^2 დონეზე. მესამე ეროვნულ შეტყობინებაში გამოყენებულ A1B სცენართან შედარებით, RCP4.5 სცენარი ნაკლებ მკაცრია.

გლობალური პროგნოზის მასშტაბის გასაუმჯობესებლად გამოყენებულ იქნა RegCM რეგიონული კლიმატური მოდელის 4.6.0 ვერსია. აღნიშნულ ვერსიაში რიგი ფიზიკური და ქიმიური პროცესების აღწერისა და პარამეტრიზაციის მექანიზმებია დახვეწილი. ჩვენ ამ მოდელში გავითვალისწინეთ მტკვრისა და აეროზოლების ზემოქმედება, რასაც წინ უსწრებდა კვლევა: მტკვრის ნაწილურების ეფექტის გათვალისწინება სამხრეთი კავკასიის კლიმატის სიმულაციისას. ზრდა მოსახლეთაზე RegCM 4.6.0 ვერსია პორი-ზონტალური მასშტაბის გაუმჯობესების საშუალებას იძლევა ჩადგმული არის მეთოდით (one way nesting).

№ 533 ბლაკ



№ 533 ბლაკ



14

რეგიონული მოდელით ყველა სიმულაცია ჩატარდა ჯერ უფრო უხეში მასშტაბის (30 კმ) და შედარებით დიდი ფართობის არეზე, ხოლო შემდეგ გადათვლილ იქნა 10 კილომეტრიან ბადეზე.

აღნიშნულ სიმულაციაზე დაყრდნობით, ორი 30-წლიანი (2041-2070 და 2071-2100 წლები) საპროგნოზო პერიოდის შედარებით 1971-2000 წლების 30 წლიან საბაზისო პერიოდთან, შეფასდა კლიმატის ცვლილების სამომავლო ტენდენციები საქართველოს მეტეოროლოგიური ქსელის 39 სადგურისთვის. სცენარები შემუშავდა ძირითადი კლიმატური პარამეტრებისთვის, როგორიცაა ჰაერის ტემპერატურის, ნალექების ჯამის, ფარდობითი სინოტივისა და ქარის საშუალო თვიური და წლიური მნიშვნელობები. დამატებით გაანგარიშებულ იქნა სპეციალიზებული კლიმატური პარამეტრები - ინდექსები, რომელთა საშუალებით შესაძლებელია ცალკეულ სექტორებზე კლიმატის ცვლილების გავლენის შეფასება.

საშუალო წლიური ტემპერატურა 2041-2070 წლების პერიოდში 1971-2000 წლებთან შედარებით მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე 1.60C-დან 3.00C-მდე ფარგლებში გაიზრდება. აღმოსავლეთ საქართველოში დათბობა 1.8°C-3.0°C ფარგლებშია, დასავლეთ საქართველოში ოდნავ ნაკლებია, 1.6°C-2.9°C ფარგლებში.

2071-2100 წლების პერიოდში საშუალო წლიური ტემპერატურა ზრდას განაგრძობს და ის კიდევ 0.4°C-1.7°C-ის ფარგლებში მოიმატებს. შედეგად, ამ პერიოდისთვის ტემპერატურის ნაზრიდი 1971-2000 წლების პერიოდის საშუალოსთან შედარებით 2.1°C-3.7°C ფარგლებშია. ყველაზე ნაკლებად ეს სიდიდე ლენტებში იმატებს, ხოლო ყველაზე მეტად - საგარეჯოში. აღმოსავლეთ საქართველოში მატება უმნიშვნელოდ აღემატება დასავლეთ საქართველოში მატებას.

საშუალო მაქსიმალური ტემპერატურების წლიური მატება 2041-2070 წლების პერიოდისთვის 1.9°C-3.0°C ფარგლებშია, საშუალო მინიმალური ტემპერატურებისა კი 1.10C-2.30C ფარგლებში. მინიმალური ტემპერატურების საშუალო ნაკლებად იმატებს, ვიდრე მაქსიმალური ტემპერატურებისა. 2071-2100 წლების პერიოდისთვის ეს კანონზომიერება ნარჩუნდება, მაქსიმუმები თბება 2.6-4.3°C-ით, ხოლო მინიმუმები - 1.7-3.7°C-ით.

2041-2070 წლებისთვის იმ დღეთა რიცხვი, როდესაც დღის მაქსიმალური ტემპერატურა აღემატება 25°C, 30°C და 35°C-ს, წლის განმავლობაში ყველა სადგურზე გაზრდილია, ისევე როგორც იმ დამეტების რაოდენობა, როდესაც მინიმალური ტემპერატურა 20C-ზე ქვემოთ არ ჩამოდის. ამავე დროს, მინიშვნელოვნად შემცირდება ყინვიანი დღეებისა და დამეტების რაოდენობა. აღნიშნული პერიოდისთვის, მაღალ მთაში ყინვიანი დღეების რიცხვი უფრო მკვეთრად იკლებს, ვიდრე ყინვიანი დამეტებისა, ხოლო დაბლობ ადგილებში ორივე სიდიდე თითქმის ერთნაირად მცირდება. საუკუნის ბოლოსათვის ყინვიანი დღეები საერთოდ აღარ არის მოსალოდნელი.

დაკვირვების მონაცემებით ნალექების წლიური ჯამის განაწილება საქართველოს ტერიტორიაზე შემდეგი კანონზომიერებით ხასიათდება: ყველაზე ნალექიანი აჭარის სანაპირო ზოლია (2,300 მმ-ზე მეტი). სანაპიროდან აღმოსავლეთით და ზღვის დონიდან სიმაღლის ზრდის მიხედვით ნალექის წლიური რაოდენობა თანდათან იკლებს. ორივე საპროგნოზო პერიოდში ნალექების რაოდენობა სხვადასხვაგვარი პროცენტით თანაფარდობით მცირდება, მაგრამ განაწილების კანონზომიერება უცვლელი რჩება.



2041-2070 წლების პერიოდში ნალექების წლიური ჯამი აღმოსავლეთ საქართველოში საშუალოდ 9%-ით მცირდება. ყველაზე მეტად (12.3%) ფასანაურში, ყველაზე ნაკლებად კი საგარეჯოში (5.3%). ნალექის წლიური რაოდენობა ყველაზე მეტად იმერეთში იკლებს, მაქსიმალური კლება საჩხერეში (17.9%-ით). დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში კლება 3.6-15.3%-ის ფარგლებშია. გამონაკლის წარმოადგენს ზუგდიდი და ფოთი, სადაც ნალექი 8-10%-ით იზრდება.

2071-2100 წლების პერიოდში, 2041-2070 წლების პერიოდთან შედარებით, ნალექების ჯამი უმნიშვნელოდ იცვლება, იზრდება ან მცირდება 1-6% პროცენტის ფარგლებში. დანართის ცხრილ B2-ში მოყვანილია 2071-2100 წლებში ნალექების საშუალო თვიური, სეზონური და წლიური რაოდენობები და 1971-2000 წლების საშუალოების მიმართ ცვლილება რეგიონებისა და სადგურების მიხედვით.

ქარის საშუალო წლიური სიჩქარის მნიშვნელობა 1971-2000 პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოში 0.4მ/წმ (ლაგოდეხი) - 4მ/წმ-ის (ფარავანი) ფარგლებში მერყეობდა, დასავლეთ საქართველოში კი 0.2 (ლენტეხი) - 5.5მ/წმ (ქუთაისი) ფარგლებში.

მომავალში ამ პარამეტრის უდიდესი მნიშვნელობები კვლავ ქუთაისშია მოსალოდნელი. საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე ქარის საშუალო სიჩქარე წლიურად და სეზონების მიხედვითაც მცირე ცვლილებას განიცდის ± 0.5 მ/წმ დაიპაზონში. საშუალოდ მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ქარის საშუალო წლიური სიჩქარე პირველ პერიოდში 0.4 მ/წმ, ხოლო მეორეში კი 0.3 მ/წმ-ით იზრდება. ორივე პერიოდში ქარის სიჩქარის რაიმე გამოკვეთილი კანონზომიერება არ ვლინდება არც გეოგრაფიული მდებარეობის და არც სეზონური ცვალებადობის თვალსაზრისით.

წყარო: საქართველოს მეოთხე ეროვნული შეტყობინება

კლიმატის ცვლილების ფონზე შეინიშნება სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების (წყალდიდობა-წყალმოვარდნა, თოვლის ზვავი, ძლიერი ქარი, გვალვა და სხვ.) სიხშირისა და ინტენსივობის ზრდის ტენდენცია. ქვეყნის ტერიტორიაზე მნიშვნელოვნად გაიზარდა მეწყრულ-გრავიტაციული და ღვარცოფული პროცესების რაოდენობა და სიმძაფრე. ინტენსიურად დნება საქართველოს მყინვარები.

საქართველოში კლიმატის ცვლილების უარყოფითი შედეგების ფართო სპექტრი გამოვლინდა და მომავალში ნეგატიური ეფექტი კიდევ უფრო გაძლიერდება. ქვეყნის მთავარი მიზანია, კლიმატისადმი მედეგი პრაქტიკის განვითარებით, ქვეყნის მზადყოფნის და ადაპტაციის უნარის გაუმჯობესება, რაც შეამცირებს კლიმატის ცვლილების მიმართ ყველაზე მგრძნობიარე თემების მოწყვლადობას.

დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული იქნება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ასპექტები, აჭარის კლიმატის ცვლილების სტრატეგიასა და მეოთხე ეროვნულ შეტყობინებაში წარმოდგენილი არსებული და სამომავლო კლიმატის სცენარების მიხედვით.

5.1.2 გეოლოგიური პირობები

საპროექტო არეალი, შედის საქართველოს მთათაშორისული დეპრესიის კოლხეთის ნაწილის სამხრეთ კოლხეთის მართვისწინა ბორცვიანი რელიეფის ფარგლებში, რომელიც აჭარის საზღვრებში ვიწრო ზოლის სახით მიუყვება შავი ზღვის სანაპიროს. რელიეფის ხასიათის განმსაზღვრული მთისწინა ბორცვიანი რელიეფი დანაწევრებულია ზღვის



ნაპირისადმი მართობულად მიმართული მდინარეული ხეობებით. ხეობების ქვედა, ზღვისპირა ნაწილები მოვაკებული და დატერასებულია. ტერასების საკონტაქტო ხაზი ტალღისებურად მიუყვება ფერდობების ძირებსა და აკუმულაციური წარმოშობის ვაკეებს. მრავალ ადგილზე მკვეთრად გამოყოფს მთისწინა ზორციანი რელიეფისგან. უშუალოდ საპროექტო არეალი განთავსებულია ზღვისპირა აკუმულაციურ ტერასზე. ტერასის სიგანე ზღვის სანაპიროს გასწვრივ 1 კმ-ს არ აღემატება. საპროექტო არეალის მიმდებარე ზონაში ტერასა მოვაკებულია, ზღვისკენ ოდნავ დახრილი ზედაპირით. რეგიონი, რომლის ფარგლებშიც შედის საპროექტო არეალი, წარმოადგენს მცირე კავასიონის მთათა სისტემაში შემავალი მესხეთის ქედის უკიდურეს დაბოლოებას შავი ზღვის სანაპიროსთან. იგი აგებულია უმეტესად მესამეული და მეოთხეული ასაკის ფორმაციებით.

საპროექტო ტერიტორიის აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით განლაგებული მთისწინეთი აგებულია პალეოგენური, კემოდ შუა ეოცენური (Pg²) ასაკის ნალექებით, რომელთა შორის, გაბატონებული როლი ეოცენის ვულკანოგენურ წყებას უკავია. წყება წარმოდგენილია ანდეზიტური განფენებითა და მათი პიროვლასტოლითებით. ზღვისპირა დადაბლებულ ზოლში მეოთხეული (Q) ნალექებია გავრცელებული. ისინი წარმოდგენილია უმეტესად მდინარეული და ზღვიური ტიპის ნალექებით, რომლებითაც აგებულია სხვადასხვა ასაკის ტერასები.

საპროექტო არეალის აღმოსავლეთით მდებარე ფერდობები აგებულია შუა ეოცენური ასაკის ანდეზიტ-ბაზალტური შემადგენლობის ტუფობრექჩიებითა და ტუფებით. ქანები ადგილობრივი სუბტროპიკული კლიმატის გავლენით, ზედაპირულ ზონაში (5-20 მ) გამოფიტულია და წარმოადგენს ე.წ. ლატერიტულ თიხა-თიხნარებს, დამახასიათებელი მოყვითალო-ყავისფერი ფერით. კლდოვან, გამოუფიტავ მდგომარეობაში ტუფობრექჩიები შიშვლდებიან მხოლოდ მდინარეთა აქტიური სიღრმული ერთიული მოქმედების ან ფერდობების ინტენსიური დენუდაციის ადგილებში. ტერასის აღმოსავლეთ ნაწილში მეოთხეული საფარი უმეტესად ალუვიური (aQ_{IV}) გენეზისის მსხვილმარცვლოვანი (კენჭნარი, კაჭარი, ხრეში) მასალითაა წარმოდგენილი. ზღვასთან მიახლოებისას ნალექებში მსხვილმარცვლოვანი ფრაქცია ადგილს უთმობს შედარებით წვრილ ფრაქციას და ზღვისპირა ზოლში, მათ შორის გამოვლეული მოედნის ფარგლებშიც, ალუვიურ-ლაგუნური შედარებით წვრილდისპერსიული ნალექების შრეები მორიგეობენ.

ტექტონიკურად საკვლევი რაიონი შედის აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის ჩრდილო ზონის ჩაქვი-საირმის ქვეზონაში, განედური მიმართულების შეცოცებებითა და შესხლეტვებით. ჯავახეთის მთანეთი, რომელიც სეისმური აქტივობით გამორჩევა, ქ. ბათუმიდან აღმოსავლეთით 200 კმ-ზე მდებარეობს და საკვლევი რაიონი ძირითადად იქ მომხდარი მიწისძვრების გავლენას განიცდის. საქართველოში ამჟამად მოქმედი სამშენებლო ნორმის „სეისმომედგი მშენებლობა“ (ვნ 01.01-09) მიხედვით, გამოკვლეული უბნის სეისმურობა, M_{HK}64 სკალის შესაბამისად, არის 8 ბალი. სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A=0.12.

5.1.2.1 გეგმარებითი ერთეულის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები

საკვლევი არეალის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესწავლის მიზნით შპს „ჯეოინჟინირინგის“ მიერ, 2017 წლის ოქტომბერში განხორციელდა საკვლევი არეალის შესწავლა. კვლევა მოიცავდა სხვადასხვა სახის სამუშაოებს, რომელიც წარმოდგენილია ცხრილში.



#	სამუშაოს დასახელება
1	საველე სამუშაოები
1.1	ჭაბურღილების სვეტური ბურღვა 50მ. სიღრმემდე დიამეტრით 152-93 მმ, კერნის სრული აღებით, ერთდოროული გამაგრებით, გრუნტის ნიმუშებისა და წყლის სინჯების აღებით
1.3	საველე საინჟინრო-გეოლოგიური დოკუმენტაციის შესრულება
1.4	გრუნტების ინტერვალური სტანდარტული დინამიური პენეტრაციის ჩატარება ჭაბურღილში
1.5	პიეზომეტრის მოწყობა ჭაბურღილებში წყლის დონეებზე დაკვირვების მიზნით
2	გრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევა
2.1	გრუნტების ფიზიკური თვისებების (ტენიანობა, პლასტიკურობა, სიმკვრივე, ნაწილაკების სიმკვრივე, გრანულომეტრიული შედგენილობა) გამოკვლევა
2.2	გრუნტების მექანიკური თვისებების (ძვრა, კომპრესია) გამოკვლევა
2.3	გრუნტების სამღერძა გამოცდა
2.4	გრუნტების და გრუნტის წყლების ქიმიური ანალიზი და აგრესიულობა
2.5	გრუნტების ერთდერძა გამოცდა
3	კამერალური სამუშაოები
3.1	საველე და ლაბორატორიული კვლევის შედეგების საოფისე დამუშავება, საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილების შედგენა
3.2	საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიშის მომზადება და ტირაჟირება 2 ეგზემპლარად

კომპანიის მიერ, საკვლევის არეალის ფარგლებში, გაიბურღა 5 ჭაბურღილი, სიღრმით 50-50 მ. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები ჩატარდა შესაბამისი სტანდარტებისა და ნორმებისა შესაბამისად, ტექნიკური დავალების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ჭაბურღილების ბურღვა განხორციელდა მშრალი სვეტური ბურღვის მეთოდით, გამრეცხი სითხის გამოყენების გარეშე, დიამეტრით 152-93მმ, 100% კერნის ამოღებით, დარღვეული და დაურღვეველი სტრუქტურის ნიმუშების აღებით. დაურღვეველი სტრუქტურის ნიმუშები აღებული იქნა გრუნტამღებით მიღლისებრი ბოლოთი.

საველე კვლევებისა და ჭაბურღილებიდან აღებული გრუნტების ნიმუშების ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე, სამშენებლო მოედნის ლითოლოგიურ სტრუქტურაში ნიადაგის ფენის ქვეშ გამოიყოფა ერთმანეთისგან განსხვავებული შედგენილობის, მდგომარეობისა და თვისებების 5 ფენა, რომელთა აღწერა და გავრცელება სიღრმეში, ჭაბურღილების მონაცემების მიხედვით, მოცემულია ცხრილში



ფენების აწერა და გავრცელება სიღრმეში, ჭაბურღილების მიხედვით

ფენა #	ფენების დახასიათება და გეოლოგიური ინდექსი	ფენის სიღრმის ინტერვალი ჭაბურღილის მიხედვით, მ. ფენის სისქე, მ.				
		ჭაბ.1	ჭაბ. 2	ჭაბ.3	ჭაბ.4	ჭაბ.5
	ნიადაგის ფენა – სუსტად ტენიანი, მოყავისფრო-ნაცრისფერი, სუსტად ქვიშიანი, მტვროვანი თიხა, მცენარეთა ფესვებით	0.0-0.2	0.0-0.2	0.0-0.2	0.0-0.2	0.0-0.1
1	ნაყარი გრუნტი - ტენიანი, მოყავისფრო-ნაცრისფერი, ხრეშმოვანი გრუნტი ქვიშიან-მტვროვანი თიხის შემავსებლით, მკვრივი, სამშენებლო ნარჩენების შემცველობით	0.2-3.7	0.2-2.7	0.2-3.8	0.2-2.5	0.1-4.0
2	წყალგაჯერებული, ნაცრისფერი, მომრგვალებული ხრეში ძლიერ ქვიშიანი, მტვროვანი, სამუალო სიმკვრივიდან მკვრივამდე, კენჭების იშვიათი ჩანართებით	3.7-7.6	2.7-6.8	3.8-8.4	2.5-8.1	4.0-7.9
3	წყალგაჯერებული ნაცრისფერი ქვიშა, წვრილმარცვლოვანი, სამუალო სიმკვრივის, თიხის თხელი ლინზებით, სუსტად ხრეშიანი, ორგანიკიანი, იშვიათად ნიჟარების შემცველობით	7.6-13.3 14.4-23.5 24.0-26.10 26.85-28.0 28.4-33.0	6.8-11.4 11.6-13.75 13.90-15.2 15.4-20.2 20.5-24.5 24.7-27.5 27.9-29.0 29.5-31.0	11.4-11.6 13.75-13.90 15.2-15.4 20.2-20.5 24.5-24.7 27.5-27.9 29.0-29.5	8.4-24.5 24.7-30.1 31.0-33.5	7.9-13.6 14.1-23.0 23.5-28.2 28.5-32.0
4	ძლიერ ტენიანი, ნაცრისფერი, მტვერი, სუსტად თიხიანი, სუსტად ქვიშიანი, ორგანიკის შემცველობით	13.3-14.4 23.5-24.0 26.1-26.85 28.0-28.4 38.1-38.8	11.4-11.6 13.75-13.90 15.2-15.4 20.2-20.5 24.5-24.7 27.5-27.9 29.0-29.5	24.5-24.7 30.1-31.0 39.5-42.3	28.2-29.0 39.5-39.9	13.6-14.1 23.0-23.5 28.2-28.5 38.6-40.5 42.2-42.6



№ 530 ბლკები


№ 530 ბლკები

19

			39.4-40.3 47.7-48.0			
5	წყალგაჯერებული ნაცრისფერი ქვიშა, წვრილმარცვლოვანი, მკვრივი, თიხის თხელი ლინზებით, სუსტად ხრეშიანი, ორგანიკიანი, იშვიათად ნიჟარების შემცველობით	33.0-38.1 38.8-40.4 41.2-50.0	31.0-39.4 40.3-47.7 48.0-50.0	33.5-39.5 42.3-50.0	29.0-39.5 39.9-50.0	32.0-38.6 40.5-42.2 42.6-50.0

გრუნტების შედგენილობის და ფიზიკურმექანიკური თვისებების ლაბორატორიული
კვლევის ჯამური უწყისი წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილებში.





7. 330 hours
cm * GEC

n. 330 ~~hrs~~

17	5	32.6-33.0				0.2	0.5	0.3	1.2	2.8	4.4	11.5	6.7	2.	29.7	5.5	4.0	7.5	2.4	5.1	14.8	29.5	-	-	2.66	2.01	1.7	34.1	0.519	0.75	
18	5	38.7-39.0				0.6	1.1	0.9	1.3	4.4	5.5	7.9	13.3	30.3	8.8	25.9	30.7	33.9	25	8.9	0.64	2.70	1.81	1.3	48.7	0.950	0.87	0.06			

№				ამონტი / შეურცი წ.												ნიშანის დოზი, მგ/ლ																		
დოზის ალების ინტერვალი, მ				კლიმატურის						საზოგადო, გრ/მ³						გარემოს						არაფიქციური												
ნიშანის ალების ინტერვალი, მ				მიმღები % 200.0-63.0						მიმღები % 63.0-2.0						მიმღები % 2.0-0.600						მიმღები % 0.600-0.212						მიმღები % 0.212-0.063						
1	1	116-120		0.2	9.4	65.5	18.2	6.7	22.9	27.9	-	-	-	2.66	2.00	1.63	38.82	0.635	0.980	0.018	4.0	0.040	37.8											
2	1	20.6-21.0		0.9	34.0	37.9	20.0	7.2	20.0	28.1	-	-	-	2.67	1.95	1.63	39.14	0.643	0.830				0.036	26.8										
3	1	26.5-26.7		0.5	2.2	7.9	59.9	29.5	30.5	33.2	24.6	8.6	0.89	2.70	1.76	1.35	50.05	1.002	0.822	5.5	0.024	15.4												
4	2	4.0-4.5		67.1	6.4	13.0	6.9	6.6	5.3																									
5	2	17.0-17.4		0.3	23.9	47.1	22.6	6.1	20.6	33.5	-	-	-	2.66	2.00	1.66	37.56	0.604	0.907	3.9	0.036	36.1												
6	2	26.0-26.4		1.5	5.0	59.1	24.0	10.4	25.3	32.2	26.6	5.6	-0.23	2.68	1.98	1.58	41.04	0.696	0.974															
7	2	31.1-31.5		0.4	1.9	31.0	37.7	23.5	5.5	19.7	27.8	-	-	-	2.66	1.93	1.61	39.38	0.850	0.806			0.010	22.0										
8	3	17.5-18.0		0.0	1.5	31.1	37.9	28.2	28.2	28.1	-	-	-	2.66	2.01	1.65	38.11	0.616	0.955	0.013														

სამართლებულობრივი
მინისტრის
მიერ მიმღები
ნიშანის დოზი

7. 530 ხლავა



23



7. 530 ხლავა

განვითარებული / ბურვის №											
სოფტეროს ზომი, მმ											
სიტყვაშეკრიტიკული											
ნიმუშის აღების ინტენსივული, გ											
კონცენტრი % 200.0-63.0											
ხელში % 63.0-2.0											
მსხვილი 2.0-0.600											
სამუშალი 0.600-0.212											
წრიული 0.212-0.063											
მიტვერი % 0.063 - 0.002											
თიხა % < 0.002											
ბურვებრივი ტენიანობა 3%											
ზედა ზღვარი, ჭრ%											
ქვედა ზღვარი, ჭრ%											
პლატიკურობის რიცხვი, ს											
დონის მანებელები 1											
მინერალური ნაწილების, მ.											
ბურვებრივი, მ.											
ჩოხისის, მდ.											
ფორმის, მარმა, წ%											
ფორმანის კონფიგურაცია, ე											
ტენიანობის ბარაბაზი, მ											
თავისუფალი გარემოება											
ორგანიკის შემცველობა %											
შეჭიდულობა, გ, მდა											
შინაგანი ხასერის კუთხე, გ ⁰											
შინაგანი ხასერის კუთხე, გ ⁰											
კვაზი, წრიული მდგრადი, სამარტინო, მდგრადი, თიხის მდ.											
ხელში, მარტინო, მდგრადი, თიხის მდ.											
მდგრადი, თიხის მდ.											
მდგრადი, თიხის მდ.											
მდგრადი, თიხის მდ.											
კვაზი, წრიული მდგრადი, თიხის მდ.											
მდგრადი, თიხის მდ.											
მდგრადი, თიხის მდ.											
მდგრადი, თიხის მდ.											
კვაზი, წრიული მდგრადი, თიხის მდ.											
მდგრადი, თიხის მდ.											
მდგრადი, თიხის მდ.											
კვაზი, წრიული მდგრადი, თიხის მდ.											
მდგრადი, თიხის მდ.											
კვაზი, წრიული მდგრადი, თიხის მდ.											
მდგრადი, თიხის მდ.											
კვაზი, წრიული მდგრადი, თიხის მდ.											
მდგრადი, თიხის მდ.											
კვაზი, წრიული მდგრადი, თიხის მდ.											
მდგრადი, თიხის მდ.											
კვაზი, წრიული მდგრადი, თიხის მდ.											
მდგრადი, თიხის მდ.											
კვაზი, წრიული მდგრადი, თიხის მდ.											
მდგრადი, თიხის მდ.											
კვაზი, წრიული მდგრადი, თიხის მდ.											
მდგრადი, თიხის მდ.											
კვაზი, წრიული მდგრადი, თიხის მდ.											
მდგრადი, თიხის მდ.											
კვაზი, წრიული მდგრადი, თიხის მდ.											
მდგრადი, თიხის მდ.											
კვაზი, წრიული მდგრადი, თიხის მდ.											
მდგრადი, თიხის მდ.											
კვაზი, წრიული მდგრადი, თიხის მდ.											
მდგრადი, თიხის მდ.											
კვაზი, წრიული მდგრადი, თიხის მდ.											
მდგრადი, თიხის მდ.											
კვაზი, წრიული მდგრადი, თიხის მდ.											
მდგრადი, თიხის მდ.											
კვაზი, წრიული მდგრადი, თიხის მდ.											
მდგრადი, თიხის მდ.											
კვაზი, წრიული მდგრადი, თიხის მდ.											
მდგრადი, თიხის მდ.											
კვაზი, წრიული მდგრადი, თიხის მდ.											
მდგრადი, თიხის მდ.											
კვაზი, წრიული მდგრადი, თიხის მდ.											
მდგრადი, თიხის მდ.											
კვაზი, წრიული მდგრადი, თიხის მდ.											
მდგრადი, თიხის მდ.											
კვაზი, წრიული მდგრადი, თიხის მდ.											
მდგრადი, თიხის მდ.											
კვაზი, წრიული მდგრადი, თიხის მდ.											
მდგრადი, თიხის მდ.											
კვაზი, წრიული მდგრადი, თიხის მდ.											
მდგრადი, თიხის მდ.											
კვაზი, წრიული მდგრადი, თიხის მდ.											
მდგრადი, თიხის მდ.											
კვაზი, წრიული მდგრადი, თიხის მდ.											


5.1.3 ტექტონიკა და სეისმურობა

საკვლევი არეალი, გეოტექტონიკური დარაიონების მიხედვით, მოქცეულია მცირე კავკასიონის (ანტიკავკასიონის) ნაოჭა (ნაოჭა შეცოცებითი) სისტემის აჭარა-თრიალეთის (ნაოჭა-ანტიკლინონორული) ზონის ცენტრალურ ღერძულ ქვეზონაში. ტერიტორიას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის აჭარა-თრიალეთის ზონის, ჩრდილო ქვეზონა, ხოლო სამხრეთით მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის აჭარა-თრიალეთის ზონის სამხრეთი ქვეზონის აჭარისწყლის სექტორი, რომელიც თავის მხრივ, მნიშვნელოვნად გართულებულია ურთიერთგადამკეთი ტექტონიკური რღვევებით.

საქართველოს მაკრო-სეისმური დარაიონების სქემის მიხედვით (იხ. ილუსტრაცია 3), საკვლევი ტერიტორია მდებარეობს 7 ბალიან ზონაში (საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება № 1-1/2284, 2009 წლის 7 ოქტომბერი, ქ. თბილისი. სამშენებლო ნორმების და წესების „სეისმომედუგი მშენებლობა“ (პნ 01.01-09) დამტკიცების შესახებ).

ილუსტრაცია 3 სეისმური საშიშროების რუკა

მაქსიმალურ ჰორიზონტულ აჩქარებასა და ბალიანი



5.1.4 ჰიდროგეოლოგია

საქართველოს ჰიდროგეოლოგიური დარაიონების და ჰიდროგეოქიმიური ზონალურობის სქემატური რუკის მიხედვით (ბ. ზაუტაშვილი, ბ. მხეიძე, 2011 წ.) საკვლევი ტერიტორია მდებარეობს მცირე კავკასიონის ნაოჭა ბელტური სისტემის ჰიდროგეოლოგიურ ოლქში, აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის ჰიდროგეოლოგიური რაიონის დასავლეთი დამირვის ჰიდროგეოლოგიურ ადმასივში.

აჭარა თრიალეთის ნაოჭა ზონის დასავლეთ დამირვის ჰიდროგეოლოგიური ადმასივი (III₁¹) აგებულია ძირითადად შუაეოცენური ვულკანოგენურ-დანალექი წარმონაქმნებით (სისქე 3 კმ-მდე), რომელთაც ქვეშ უდევს ქვედაეოცენურ-პალეოცენური ფლიშური ნალექები და ვულკანოგენური წარმონაქმნები (სისქე 1.5კმ-მდე) და ზედაცარცული კირქვების, მერგელებისა და ვულკანოგენური წარმონაქმნების სიზრქე (სისქე 1კმ-მდე). ადმასივის ფარგლებში გავრცელებული გრუნტის წყლები დაკავშირებულია გამოფიცვის ზონის ნაპრალებთან და ფორმვას დელუვიურ-ელუვიურ და ალუვიურ წარმონაქმნებთან უფრო ხშირია მდინარეთა ხეობების თანამედროვე ალუვიონის გრანულის წყლები,



რომლებიც ქიმიური შედგენილობით HbO_3 -ჩა-მგ-იანია და ფართოდ გამოიყენება ადგილობრივ წყალმომარაგებაში. წყაროების დებიტები ჩვეულებრივ დაბალია, უმეტესად 0.5 ლ/წმ-ზე ნაკლები; საერთო მინერალიზაცია 0.2-0.4 გ/ლ. დანაოჭების პროცესების ზემოქმედებისა და წყვეტითი რღვევების ხშირი ქსელის წყალობით ადმასივის ქანების კომპლექსს ახასიათებს ღრმად გამსჭვალავი ტექტონიკური ნაპრალები და რღვევები. ამის შედეგად წყებების უმეტესობას, განსაკუთრებით შუა ეოცენურ ულკანგენურ-დანალექ წარმონაქმნებში, აქვს კარგი წყალგამტარობა, რაც ხელს უწყობს ღრმა ცირკულაციის ჰიდროგეოლოგიური ზონის წყლების ზედაპირამდე ამოდინებას.


5.1.5 დაცული ტერიტორიები

აჭარის რეგიონი გამორჩეულია ბუნების სიმდიდრით, რასაც აქ არსებული დაცული ტერიტორიების სიმრავლე და მნიშვნელობა ცხადყოფს. გეგმარებითი ობიექტიდან სხვადასხვა კატეგორიის შემდეგი დაცული ტერიტორიებია წარმოდგენილი, ესენია:

- მაჭახელას ეროვნული პარკი;
- მტირალას ეროვნული პარკი;

აღნიშნული დაცული ტერიტორიებიდან, საპროექტო ტერიტორიასთან ყველაზე ახლოს (12.5 კმ პირდაპირი მანძილი) მტირალას ეროვნული პარკია.

ილუსტრაცია 4 ილუსტრაცია დაცული ტერიტორიების მდებარეობა გეგმარებით ობიექტთან მიმართებაში



ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში ასევე ვხვდებით საერთაშორისო მნიშვნელობის ზურმუხტის ქსელის დამტკიცებულ უბანს ჭოროხის დელტა GE0000054, ხოლო საკვლევი არეალის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს ასევე ზურმუხტის დამტკიცებული უბანი მტირალა GE0000016 და სამხრეთ-აღმოსავლეთით ზურმუხტის ქსელის დამტკიცებულ უბანი მაჭახელა GE0000031.



„ზურმუხტის ქსელი“ ეს არის საერთაშორისო ეკოლოგიური ქსელი, რომელიც მიზნად ისახავს სახეობების მათ საბინადო გარემოში შენარჩუნებას და არსებითად წარმოადგენს „ბერნის კონვენციის“ განხორციელების ძირითად მექანიზმს.

ბერნის კონვენცია - 1979 წელს შეიქმნა ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების კონვენცია, ე.წ. „ბერნის კონვენცია“, რომელიც ხელმომწერი ქვეყნებისთვის სავალდებულო საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტია. კონვენციის უმთავრესი მიზანია ველური ფლორისა და ფაუნის, ასევე ბუნებრივი ჰაბიტატების კონსერვაცია და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება ბუნების დაცვის სფეროში.

1989 წელს ბერნის კონვენციის ხელმომწერმა ქვეყნებმა ევროპის ბუნებრივი ჰაბიტატების დასაცავად შექმნეს სპეციალური მექანიზმი - „ზურმუხტის ქსელი“. აღნიშნული მექანიზმის შექმნა, გამომდინარეობს კონვენციის ძირითადი პრინციპიდან, რომ სახეობების გრძელვადიანი გადარჩენა, მათი მდგრადობის მიღწევა შეუძლებელია იმ ჰაბიტატების დაცვის გარეშე, რომელშიც ეს სახეობები ბინადრობენ. აღნიშნული განაპირობებს იმ გარემოებას, რომ კონვენცია მთავარ აქცენტს ბუნებრივი ჰაბიტატების შენარჩუნებაზე აკვთებს.

თავისი არსით „ზურმუხტის ქსელი“ წარმოადგენს ეკოლოგიურ ქსელს, სადაც ხორციელდება შესაბამისი მართვა. რამდენადაც იგი ბერნის კონვენციის ეგიდით შეიქმნა, მისი მიზანია იმ სახეობებისა და ჰაბიტატების გრძელვადიანი შენარჩუნების უზრუნველყოფა, რომლებიც ამ კონვენციის მიხედვით დაცვის განსაკუთრებულ ღონისძიებებს საჭიროებენ. შესაბამისად, კონვენციის ფარგლებში იდენტიფიცირებულია ე.წ. „სპეციალური კონსერვაციული მნიშვნელობის მქონე ტერიტორიები (Aრეას ოფ შპეციალ ჩონსერვატორნალ Iნტერესტ - Aშტ). არსობრივად ეს არის ტერიტორიები, რომლებსაც აქვთ სახარბიელო კონსერვაციული სტატუსის შენარჩუნების, ან აღდგენის პოტენციალი ისეთი სახეობებისა და ჰაბიტატებისთვის, რომლებიც წარმოადგენენ¹ -

- საფრთხის წინაშე მყოფ, ენდემურ, მიგრირებად და ბერნის კონვენციით მკაცრად დაცულ სახეობებს;
- საფრთხის წინაშე მყოფ, ან სამაგალითო ჰაბიტატებს და ბერნის კონვენციით მკაცრად დაცულ სხვადასხვა ტიპის ჰაბიტატებისგან შემდგარ მოზაიკურ ჰაბიტატებს;
- მიგრირებად სახეობებს, რომლებიც ევროპული ქვეყნების საერთო ბუნებრივ მემკვიდრეობას წარმოადგენს.

კონვენციის მხარე ქვეყნები შეარჩევენ და წარადგენენ სპეციალური კონსერვაციული მნიშვნელობის ტერიტორიებს. შერჩეული ტერიტორიები უნდა აკმაყოფილებდეს კონვენციისთვის მნიშვნელოვანი სახეობებისა და ჰაბიტატების კონსერვაციის სხვადასხვა კრიტერიუმებს.


1992 წლის 21 მაისს ევროსაბჭომ მიიღო დირექტივა ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფლორისა და ფაუნის კონსერვაციის შესახებ (#92/43/EEB). დირექტივა მიზნად ისახავს ბიომრავალფეროვნების დაცვას ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური სახეობების კონსერვაციის გზით. დირექტივა მოითხოვს მნიშვნელოვანი სახეობებისა და ჰაბიტატების აღდგენას ან, თუ ისინი არ საჭიროებენ აღდგენას, მათი სახარბიელო კონსერვაციული სტატუსის შენარჩუნებას. შესაბამისად, დირექტივაზე დაყრდნობით ევროკავშირის ქვეყნებში შექმნილია „ზურმუხტის ქსელის“ ანალოგიური ეკოლოგიური ქსელი „ნატურა 2000“. რამდენადაც ბერნის კონვენციის გეოგრაფია სცდება ევროკავშირის ფარგლებს,

¹ (ზურმუხტის ქსელი. ინგლისურენერთი ფრონპის ბუნებრივი ჰაბიტატების დასაცავად)



„ნატურა 2000“ განიხილება „ზურმუხტის ქსელის“ ნაწილად. ეს ორი ქსელი სრულად თავსებადია ერთმანეთთან².

ილუსტრაცია 5 ზურმუხტის სქელის საიტები




ბათუმის ტერიტორიაზე ასევე წარმოდგენილია ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორია დასახელებით „ჭოროხის დელტა“ და ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ადგილი დასახელებით „ბათუმი“.

² (ზურმუხტის ქსელი. ინსტრუქტურული ეკონომიკური ბუნებრივი პატიტურების დასაცავად)



ილუსტრაცია 6 ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორია და ფრინველთათვის
მნიშვნელოვანი ადგილი



ზემოთ მოცემული ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის დაცული ტერიტორიების
საზღვრები უმეტეს შემთხვევაში ერთმანეთს ფარავს.

5.2 სოციალურ ეკონომიკური გარემო

5.2.1 მოსახლეობის რაოდენობა

2019 წლის მონაცემების მიხედვით ბათუმის მოსახლეობა 166 ათას, ხოლო 2020 წელს 169.1 კაცს შეადგინდა, რაც მას თბილისის შემდეგ სიდიდით მეორე ქალაქად აქცვს. ემიგრაციის ეროვნული ტენდენციის შესაბამისად აჭარის რეგიონის მოსახლეობის მთლიანი რაოდენობა შემცირდა, თუმცა ქალაქ ბათუმის - გაიზარდა. ბევრი ადამიანი უკეთესი სამსახურისა თუ ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საცხოვრებლად ბათუმში გადავიდა. გარდა ამისა, ბათუმი ერთი დანიშნულების ადგილია დასაქმების მაძიებელი უცხოელი მიგრანტებისთვისაც, განსაკუთრებით კი ტურიზმის სექტორში. ბათუმის გაფართოება ასევე აისახება მის ტერიტორიულ საზღვრებზე 2009 დან 2011 წლებში, როდესაც მას გონიო, კვარიათი, მწვანე კონცხი, ადლია, ანგისა, ინჯალო და მახვილაურის ზონებიც დაემატა.

საქართველოში ეთნიკურ ჯგუფებს შორის რაოდენობრივად პირველ ადგილზე ქართველები არიან. 2014 წლის აღწერის მონაცემების თანახმად, მათი პროცენტული მაჩვენებელი 86.6% ს შეადგენს მართლმადიდებლური ქრისტიანობა საქართველოში ყველაზე გავრცელებულ რელიგიაა, ხოლო ისლამი სიდიდით მეორე რელიგიური

№ 333 ბჯХС



№ 333 ბჯХС



ჯგუფია. მიუხედავად იმისა, რომ აჭარის რეგიონი ისტორიულად ძირითადად მუსულმანებით იყო დასახლებული, 2014 წლის აღწერის მონაცემებით, 70% მართლმადიდებელია, ხოლო 30% მუსულმანი

5.2.2 დასაქმება

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ქალაქ ბათუმში 2020 წელს აღირიცხებოდა 56,658 დასაქმებული, რომელთაგან 51,597 დაქირავებული პირია. ბათუმში დასაქმების მთავარ დარგებს წარმოადგენს: ვაჭრობა, მშენებლობა და გადამამუშავებელი მრეწველობა. გარდა ამისა დასაქმების მნიშვნელოვან დარგებს ასევე წარმოადგენს: ტრანსპორტი, ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები, საკვების მიწოდების საქმიანობები, ხელოვნების, გართობისა და დასვენების სექტორი.

აღსანიშნავია, რომ დასაქმებულ ქალთა რაოდენობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება კაცთა რაოდენობას. ამასთან, ქალთა საშუალო ხელფასი კაცთა საშუალო ხელფასზე მცირეა.

5.2.3 ტურიზმი

ტურიზმი აჭარის ეკონომიკის ერთ-ერთი პერსპექტიული და სწრაფად განვითარებადი დარგია. ყოველწლიურად მნიშვნელოვნად იზრდება ტურიზმის სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულება. რეგიონში ბოლო წლებში მაღალი ტემპით იზრდებოდა ტურიზმის სფეროში განხორციელებული ინვესტიციებისა და ტურისტების რაოდენობა.

2017 წელს საქართველოს მშპ-ს 6.9%-ს, ხოლო მომსახურებების ექსპორტის 68%-ს ტურიზმი შეადგენდა (საქართველოს ტურიზმი ციფრებში, 2017). ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბათუმისთვის, რადგან ის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი ტურისტული ქალაქია. სასტუმროებისა და რესტორნების სექტორებში 6,510 ადამიანია დასაქმებული, რომელთაც 2016 წელს მთლიან დამატებით ღირებულებაში წვლილი 43 მლნ. ევროთი შეიტანეს. ტურისტთა ყველაზე მაღალი რიცხვი ბათუმში აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, რუსეთიდან და თურქეთიდან შემოდის. 2020 წელს ქალაქ ბათუმში შეინიშნებოდა ტურისტების მნიშვნელოვანი კლება, რაც პანდემიის უარყოფით შედეგებს უნდა მივაწეროთ.

5.2.4 განათლება და კულტურა

ქ. ბათუმში მოქმედებს საზღვაო აკადემია, სახელმწიფო უნივერსიტეტი და მუსიკალური ცენტრი. ბათუმში ფუნქციონირებს რამდენიმე მუზეუმი, მათ შორის აჭარის სახელმწიფო მუზეუმი, ხელოვნების მუზეუმი, არქეოლოგიური მუზეუმი და აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა.

ასევე ფუნქციონირებს:

- ბათუმის თანამედროვე ხელოვნების სივრცე;
- ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი;
- ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული თეატრი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთიანი პორტალის მონაცემების მიხედვით ქ. ბათუმში ფუნქციონირებს 27 საჯარო და 17 კერძო სკოლა. ქ. ბათუმში ფუნქციონირებს 32 საბაზო ბაღი.



ქალაქის ისტორიული ძეგლებიდან აღსანიშნავია: ბათუმის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი, ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარი, ბათუმის სინაგოგა, ბათუმის სამების ტაძარი, ბათუმის კათოლიკური ეკლესია და სხვ.

5.2.5 ლოგისტიკა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა საზღვაო, საჰაერო და სახმელეთო ტრანსპორტის საკვანძო ცენტრად მიიჩნევა . ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი საერთაშორისო ფრენებს 22 მიმართულებით ახორციელებს და საათში 600, ხოლო წელიწადში 600,000 მგზავრი გადაჰყავს. ბათუმის პორტი კიდევ ერთი ლოგისტიკური ცენტრია და მას 11 ნავსადგომი და ხუთი ტერმინალი აქვს. მათ შორის ნავთობის, კონტეინერის, სარკინიგზო ბორანი , მშრალი ტვირთის და საზღვაო სამგზავრო ტერმინალები. ბათუმის ასევე აქვს თანამედროვე სარკინიგზო სადგური, რომელიც ყოველწლიურად 500,000 ზე მეტ მგზავრს ემსახურება. ეს ლოგისტიკური ცენტრები ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადგილობრივი ეკონომიკისა და დასაქმების წყაროს კუთხით.

6 გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების ფაქტორები

6.1 მოსალოდნელი ზემოქმედების მოკლე აღწერა

გეგმარებითი ერთეულის განაშენიანების დეტალური გეგმით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელებამ გარემოს კომპონენტებზე შესაძლოა იქონიოს როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ ზემოქმედება. მოსალოდნელი ზემოქმედება შესაძლოა იყოს დადებითიც და უარყოფითიც. უარყოფითი ზემოქმედების ხარისხი დამოკიდებული იქნება საქმიანობის სპეციფიკაზე, მის განხორციელების ხანგრძლივობაზე და გარემოს კომპონენტების მგრძნობელობის ხარისხზე.


წინასწარი მონაცემებით დაგეგმილი საქმიანობების განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების სახეები შეიძლება იყოს:

- ატმოსფერულ ჰაერში მტვრის ნაწილაკებისა და მავნე ნივთიერებების ემისიები;
- ხმაური და ვიბრაცია გავრცელება;
- ნარჩენებით დაბინძურება;
- ავარიული დაღვრებით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედება.

უარყოფითი ზეგავლენა მოსალოდნელია შემდეგ რეცეპტორებზე:

- ატმოსფერული ჰაერი;
- ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები;
- ნიადაგი და გრუნტი;
- სოციალური გარემო;
- ბიოლოგიური გარემო

პროექტის განხორციელების შედეგად ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არაა.



6.1.1 ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიები და ხმაურის გავრცელება

ბათუმში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მნიშვნელოვანია სხვადასხვა პროფილის წარმოებები, ასეთი შესაძლოა იყოს: მეტალურგიული წარმოება და ლითონის დამუშავება, ქიმიური მრეწველობა, საწვავის შენახვა/რეალიზაცია და სხვა. მობილური წყაროებიდან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვი.

ბათუმის ტერიტორიაზე არსებული სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ძირითადი დამბინძურებელი ნივთიერებებია: მტვერი (შეწონილი ნაწილაკები), ჭვარტლი, მანგანუმის ორჯანგი, ბენზ(ა)პირენი, სუსტად ხსნადი ფტორიდები, აბრაზიული მტვერი, რკინის ოქსიდები, გოგირდის ორჯანგი და სხვა.

ქალაქ ბათუმში ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგი ტარდება ავტომატურ სადგურზე, რომელიც განთავსებულია აბუსერიძის ქუჩაზე და დაკვირვება მიმდინარეობს უწყვეტად. გარდა ამისა, ქალაქში ასევე ჩატარდა ინდიკატორული გაზომვები რუსთაველის ქუჩაზე (დრამატულ თეატრთან), ანგისის პოლიციის შენობასთან, ლ. ასათაინის ქუჩაზე (ყინულის სახლთან), მაიაკოვსკის ქუჩაზე (ტერმინალის ცენტრალურ შესასვლელთან) და ფერის მთაზე (საბაგიროს სადგურთან). ქალაქ ბათუმში ატმოსფერული ჰაერის ფონური ხარისხის შეფასებისთვის გამოყენებული იქნა გარემოს ეროვნულ სააგენტოს მიერ მომზადებული წელიწდეული (შედეგები ასახავს 2019 წლის მდგომარეობას). წელიწდეულში ასახულია აბუსერიძის ქუჩაზე განთავსებული ავტომატური სადგურის და ქალაქის სხვადასხვა წერტილში ჩატარებული ინდიკატორული გაზომვის შედეგები.

ავტომატური სადგურის გაზომვების შედეგები

ქ. ბათუმში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მონიტორინგი წარმოებდა აბუსერიძის ქუჩაზე განთავსებულ ავტომატურ სადგურზე, სადაც ისაზღვრებოდა ატმოსფერული ჰაერში შემდეგი მავნე ნივთიერებების კონცენტრაციები: გოგირდისა (შO₂) და აზოტის (NO₂) დიოქსიდები, ოზონი (O₃), მყარი ნაწილაკები (PM10 და PM2.5), ნახშირბადის მონოქსიდი (ჩO).

- გოგირდის დიოქსიდის (შO₂) 1-საათიანი და 24-საათიანი გასაშუალებით მიღებული კონცენტრაციები არ აღემატებოდა შესაბამის ზღვრულ მნიშვნელობებს.
- მყარი ნაწილაკების (PM10) საშუალო წლიური კონცენტრაცია (38 მკგ/მ³) არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ ნორმას; PM10-ის 24-სთ-იანი გასაშუალებით მიღებული კონცენტრაციები წლის განმავლობაში აღემატებოდა ზღვრულ მნიშვნელობას 81 შემთხვევაში, აქედან 41 შემთხვევა გამოწვეული იყო სინოპტიკური პროცესით - საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული უდაბნოს (საპარის, არაბეთის ნახევარკუნძულისა და შუა აზიის უდაბნოები) მტვრის ნაწილაკების შემცველი ჰაერის მასების გავრცელებით.
- მყარი ნაწილაკების (PM2.5) საშუალო წლიური კონცენტრაცია (19 მკგ/მ³) არ აღემატებოდა შესაბამის ზღვრულ მნიშვნელობას.
- აზოტის დიოქსიდის (NO₂) საშუალო წლიური კონცენტრაცია (47 მკგ/მ³) აღემატებოდა შესაბამის ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას 1.2-ჯერ, ხოლო 1 სთ-იანი გასაშუალებით მიღებული კონცენტრაციები 2019 წელს აღემატებოდა ნოემბრის თვეში 2-ჯერ (14 და 27 ნოემბერს) თითო საათის და დეკემბრისთვეში (16 დეკემბერს) ერთხელ 2 საათის განმავლობაში;



- ნახშირბადის მონიტორინგის მიზანი გასაშუალების კონცენტრაციები არ აღემატებოდა შესაბამის ზღვრულ მნიშვნელობას მთელი წლის განმავლობაში;
- ოზონის (O₃) მაქსიმალური დღიური რვასათიანი საშუალო კონცენტრაციები არ აღემატებოდა შესაბამის ზღვრულ მნიშვნელობებს მთელი წლის განმავლობაში.

ილუსტრაცია 7 მყარი ნაწილაკების (PM10) საშუალო სადღედამისო კონცენტრაციების გადაჭარბების რაოდენობა

PM10-ის კონცენტრაციები 24-საათიან ზღვრულ მნიშვნელობაზე გადაჭარბების რაოდენობა



ქ. ბათუმი (აბუსერიძის ქ.)

ცხრილი 13 PM10-ის, PM2. 5-ისდა NO₂-ის საშუალო წლიური კონცენტრაციები (01.01.2019- 31.12.2019)

ქალაქი	სადგურის ლოკაცია	PM10 (მკგ/მ ³)	PM2.5 (მკგ/მ ³)	NO ₂ (მკგ/მ ³)
ბათუმი	აბუსერიძის ქ.1	38	19	47
კონცენტრაციის ზღვრული მნიშვნელობა		40	25	40

ინდიკატორული გაზომვების შედეგები

2019 წელს ქ. ბათუმში ჩატარდა 40 ინდიკატორული გაზომვა ოთხ ეტაპად ქალაქის ცხრა წერტილში. აქედან აზოტის დიოქსიდის - 20, ოზონის - 8 გაზომვა და ბენზოლის - 12. აზოტის დიოქსიდის ინდექსი 4 შემთხვევაში იყო ძალიან კარგი, 6 შემთხვევაში- კარგი, 9 შემთხვევაში - საშუალო, ხოლო 1 შემთხვევაში - ცუდი. ოზონის ინდექსი 6 შემთხვევაში იყო ძალიან კარგი, ხოლო 2 შემთხვევაში - კარგი. ბენზოლის ინდექსი 3 შემთხვევაში იყო ძალიან კარგი, 7 შემთხვევაში - კარგი, 1 შემთხვევაში - საშუალო, ხოლო 1 შემთხვევაში - ცუდი.

2019 წელს ქალაქ ბათუმში ინდიკატორული გაზომვების შედეგად მიღებული მონაცემებით აზოტის დიოქსიდის საშუალო წლიური კონცენტრაციის ნორმაზე გადაჭარბება ხუთ წერტილში გაზომვიდან დაფიქსირდა ორ ლოკაციაზე: გორგილაძის ქ.59, „თიბისი“ ბანკთან, - 54.05 მკგ/მ³, რაც 1.4-ჯერ აღემატებოდა კონცენტრაციის ზღვრულ მნიშვნელობას და ლუკა



ასათიანის ქუჩაზე - 66.27 მკგ/მ³ (1.7 %დვ); მიღებული შედეგების მიხედვით ბენზოლის საშუალო წლიური კონცენტრაციები ყველა ლოკაციაზე ნორმის ფარგლებში იყო. ამასთანავე ასპირატორის საშუალებით ხდებოდა სინჯების აღება ტყვიის შემცველობის განსაზღვრის მიზნით და ტყვიის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.06 მკგ/მ³, რაც არ აღემატებოდა ზღვრულ ნორმას. ინდიკატორული გაზომვის შედეგები მოცემულია ქვემოთ 14.



ცხრილი 14 ინდუსტრიული გაზომვების თხზულები ქალაქ ბათუმი

შისმართი

კაბები

I

II

III

IV

ლიტრი, მკგ/მ³

ნუსოლი, მგვ/მ³

შისმართი	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III	IV
ბრწყინველის ქ. მუწეულმარ	30.51	24.91	33.08	53.02								
სასტუმრო "ლეინ"-თან	35.87	25.36	33.00	47.97								
წმ. დავით აღმაშენებლის მილეულისთვის	26.33	15.38	22.83	33.46					2.2	0.8	1.0	2.2
გორგილაძის ქ. N59, "თბილის" ბანკისან	47.50	52.64	50.22	65.83								
ლუპა ასპათანის ქ.	60.11	53.10	66.74	85.11					4.0	1.4	2.9	7.3
ბაქრაძის ქ. N28, ტერმინალის მიმდევარედ									4.4	3.2	2.3	6.5
ბათუმის ბუღალტრი					59.39	91.75	41.53	27.82				
ახალ ბუღალტრი					105.97	51.10						
ბათუმის შესახვევი					52.49	23.95						

ბაზარული რიცხვი (ტ)

რიცხვი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
მისამართი										
მისამართი	0-39	40-79	80-120	121-147	148-174	175-200	201-224	225-267	268-300	301+
მისამართი										

სამუშაო დოკუმენტი (ტ)

სამუშაო დოკუმენტი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
მისამართი										
მისამართი	0-13	14-26	27-40	41-54	55-67	68-80	81-93	94-106	107-120	121+
მისამართი										

ტელემეტრი (Ghz)

რიცხვი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
მისამართი										
მისამართი	0-16	17-33	34-51	52-56	57-63	64-7	71-8	81-9	91-10	10+
მისამართი										

ტელემეტრი (Ghz)

რიცხვი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
მისამართი										
მისამართი	0-41	42-63	64-125	126-166	167-207	208-250	251-333	334-417	418-500	501+
მისამართი										

7. 530 ხურანი



7. 530 ხურანი



გეგმარებითი ერთეულის მახლობლად ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითად წყაროს ავტოტრანსპორტი წარმოადგენს. აქ არსებულ საავტომობილო გზებზე მოძრავი ავტოტრანსპორტი ერთ-ერთი ფაქტორია საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებითა და ხმაურით დაბინძურების თვალსაზრისით. თუმცა ასევე გასათვალისწინებელია სხვადასხვა სახის სამშენებლო სამუშაოები, რაც ხმაურისა და ატმოსფეროს დაბინძურების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს.

დაგეგმილი საქმიანობების განხორციელების შედეგად მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება არ იქნიებს მნიშვნელოვან ზემოქმედებას არსებულ ფონურ მდგომარეობაზე. ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების გატარებით ზემოქმედების ხარისხი იქნება დაბალი.

6.1.2 აკუსტიკური რეჟიმი

ქალაქ ბათუმში გარემოს ხმაურით დაბინძურების ერთ-ერთი მთავარი წყარო ავტოტრანსპორტია, ასევე სამრეწველო და სამშენებლო პროცესები. ავტოტრანსპორტის გადაადგილებით გამოწვეული ხმაური საქართველოს ყველა დიდ ქალაქში აჭარბებს ზღვრულად დასაშვებ ნორმებს, მათ შორის ბათუმშიც. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ გეგმარებითი ტერიტორია მდებარეობს სატრანსპორტო ნაკადებით დატვირთულ ზონაში, სადაც ხმაურის ფონური დონე დღის აქტიურ პერიოდში 80 დბა-ს შეადგენს.

ხმაურის მაღალი ფონური დონის გათვალისწინებით, გეგმარებით ერთეულზე სამშენებლო სამუშაოები არ გამოიწვევს აკუსტიკური რეჟიმის მნიშვნელოვან გაუარესებას, ხოლო შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებით ზემოქმედება უმნიშვნელო იქნება.

6.1.3 ნიადაგის და გრუნტის დაბინძურება

ნიადაგის თვისებების მიხედვით აჭარის ტერიტორია ორ ზონად იყოფა: დაბალი სუბტროპიკული ტყის ზონა (0-50 მ ზღვის დონიდან) და შერეული სუბტროპიკული ტყის ზონა (50-500 მ ზღვის ზონიდან და ზემოთ). დაბალი ალუვიური და წითელ-მიწანი ნიადაგები (რომლის ფერსაც რკინის ჟანგი და ჰიდროჟანგი განსაზღვრავს) ნესტიანი და ხშირად ნეშომპალით დაფარულია, რაც წყლის შეკავებას უზრუნველყოფს. ნიადაგის დაბალ-ფორიანობა ხელს უშლის ხის ფესვების სიღრმეში ზრდას. შერეულ სუბტროპიკულ ზონას უფრო ფოროვანი და გრანულარული სტრუქტურის მქონე წითელ-მიწანი ნიადაგი ახასიათებს, ასეთი პირობები ხელსაყრელია ხის სწრაფი ზრდისათვის.

ქ. ბათუმის ტერიტორიაზე გავრცელებულია ძირითადად ანთროპოგენული ნიადაგები. მათ დაკარგული აქვთ ბუნებრივი შენება და ნიადაგის ზედა ნაწილი განიცდის ძლიერ ანთროპოგენულ ზეგავლენას. ზღვის სანაპიროს გასწვრივ წარმოდგენილია კარბონატული ალუვიური ნიადაგები. ქალაქის სამხრეთით, კახაბრის ვაკის ფარგლებში, მუავე ალუვიური ნიადაგებია. აღმოსავლეთით გავრცელებულია წითელმიწები, რომელთაც გათიხება და მძლავრი პროფილი ახასიათებთ.

ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნიადაგის/გრუნტის დაბინძურებას სახითათო ნარჩენებითა და ჩამდინარე წყლებით. ამ მხრივ, ქ. ბათუმის ტერიტორიაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტია ე.წ „ბენზეს“ ტერიტორია, კუთხეთი უოფილი და არსებული საწარმოო და ნაგავსაყრელის ტერიტორიები.

№ 330 ხლავი



№ 330 ხლავი



გეგმარებითი ერთეული წარმოადგენს ინფრასტრუქტურითა და ანთროპონეგური ზემოქმედებით დატვირთულ უბანს, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა სუსტადაა განვითარებული, რაც ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორცილების შედეგად გამოწვეულ უარყოფით ზემოქმედების რისკებს მინიმუმადე ამცირებს.

რაც შეეხება გრუნტზე ზემოქმედებას, აღნიშნული დაკავშირებული იქნება ავარიულ დაღვრებთან, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გრუნტის დაბინძურება. გრუნტის დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით სამშენებლო სამუშაოები უნდა წარიმართოს შესაბამისი გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

წინასწარი შეფასებით ნიადაგსა და გრუნტზე უარყოფითი ზემოქმედება დაბალი მნიშვნელობის იქნება.

6.1.4 ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურება

გეგმარებითი ერთეულიდან უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი „ნურის ტბაა“ (უმოკლესი პირდაპირი მანძილი 70 მ.), ასევე არდაგანის ტბა (უმოკლესი პირდაპირი მანძილი 790 მ.), შევ ზღვამდე მანძილი 160 მეტრია. როგორც საინჟინრო-გეოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა საპროექტო ტერიტორიაზე გრუნტის წყლები გრუნტის ზედაპირთან საკმაოდ ახლოსაა. დაგეგმილმა სამუშაოებმა შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს გრუნტის წყლის ხარისხზე, რაც დაკავშირებული იქნება სამუშაოების არასწორ წარმართვასთან და ნარჩენების არასათანადო მართვასთან (განსაკუთრებით თხევადი ნარჩენების).

ზედაპირული და მიწისქვეშა წყლებზე უარყოფით ზემოქმედება, ასევე მოსალოდნელია ავარიული დაღვრების შემთხვევაში, რისთვისაც გათვალისწინებული უნდა იყოს ავარიულ დაღვრებზე დროული რეაგირების სათანადო ღონისძიებები.

აღსანიშნავია, რომ გეგმარებითი ერთეულის სიახლოვეს წარმოდგენილია ქალაქ ბათუმის საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემა, სადაც ასევე ჩაერთვება საპროექტო ინფრასტრუქტურა. საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემაში ჩართვამდე, დაგეგმილი სამუშაოების განხორციელებისას მკაცრად უნდა იყოს დაცული გარემოსდაცვითი პირობები, რაც მინიმუმადე შეამცირებს ზედაპირულ წყლებზე უარყოფითი ზემოქმედების ხარისხს.

შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებითა და გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვის შემთხვევაში ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება დაბალი მნიშვნელობის იქნება.

6.1.5 ნარჩენების მართვა

ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე ნარჩენების წარმოქმნის არაერთი წაყაროა წარმოდგენილი (მოსახლეობა, სხვადასხვა სახის საწარმოები, ბაზრობები, ავტოტექნიკური მომსახურების ობიექტები, კვების ობიექტები, სამედიცინო დაწესებულებები, სამშენებლო სამუშაოები და სხვა), რომელთა გამოც ყოველდღიურად დიდი რაოდენობით ნარჩენები წარმოქმნება. წმინდა შემთხვევაში წარმოქმნილი ნარჩენები სახიფათო ნარჩენების კატეგორიას განეკუთვნება.

ქალაქ ბათუმში საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებას და ბათუმის მუნიციპალურ ნაგავსაყრელამდე ტრანსპორტირებას შეს „სანდასუფთავება“ უზრუნველყოფს. კომპანიას ქალაქ ბათუმს და აჭარის ორეგიონის არაერთ დასახლებულ პუნქტში განთავსებული აქვთ



საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის განკუთვნილი კონტეინერები, რომელთაც გარკვეული პერიოდულობით ემსახურება. აღსანიშნავია, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურში დასრულდა ახალი სანიტარული ნაგავსაყრელის მშენებლობა, რომელიც უახლოეს მომავალში დაიწყებს ოპერირებას. სამომავლოდ აღნიშნულ ნაგავსაყრელზე განთავსდება როგორც ქალაქ ბათუმში, ასევე აჭარის დანარჩენ ხუთ მუნიციპალიტეტში შეგროვებული ნარჩენები. მანამდე კი, ქალაქ ბათუმში წარმოქმნილი ნარჩენები კვლავ მოუწესრიგებელ ნაგავსაყრელზე განთავსდება.

გეგმარებით ერთეულზე დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას მოსალოდნელია სხვადასხვა შესაფუთი მასალების ნარჩენების, სამშენებლო (ზეტონის ნარჩენები, ლითონის ნარჩენები, აგურების, ქვების და სხვა მოსაპირკეთებელი ნარჩენები) და საყოფაცხოვრებო (ნარჩენები წარმოქმნება სამშენებლო სამუშაოებში დასაქმებული პერსონალის მიერ) ნარჩენების წარმოქმნა. წარმოქმნილი ნარჩენები შეგროვდება სპეციალურად გამოყოფილ ადგილებზე/კონტეინერებში და შემდგომი მართვისთვის გადაეცემა ნარჩენების მართვაზე სპეციალური ნებართვისა და/ან რეგისტრაციის მქონე კომპანიებს/პირებს.

ნარჩენების მართვის კოდექსის და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის N159 დადგენილების „ტექნიკური რეგლამენტი - მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის“ მოთხოვნების შესაბამისად, მუნიციპალიტეტები ვალდებული არიან უზრუნველყონ, მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება და ამ მიზნით მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სისტემის გამართული ფუნქციონირება. აქედან გამომდინარე ქალაქ ბათუმის მერიის ხელშეწყობით განხორციელდება გეგმარებით ობიექტზე წარმოქმნილი ნარჩენების სათანადო მართვა.

შესაბამისი ღონისძიებების გათვალისწინებით, ნარჩენების წარმოქმნით გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება უმნიშვნელო იქნება.

6.1.6 ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება

ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე არაერთი დიდი ზომის გამწვანებული სივრცა წარმოდგენილი - ბათუმის ბოტანიკური ბაღი, ბათუმის ბულვარი, 6 მაისის პარკი და სხვა. არსებული გამწვანებული სივრცეების საერთო ფართობის თანაფარდობა ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით 5-6 მ²-ს შეადგენს.

ქ. ბათუმის მწვანე სივრცეები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, რაც პირველ რიგში განპირობებულია სუბტროპიკული კლიმატით. რეკრეაციულ ზონებში ძირითადად 25 სახეობის ხე-მცენარეა გავრცელებული რომელთა საშუალო წლოვანება 70 წელზე მეტია.

გეგმარებით ერთეულს ესაზღვრება ბათუმის ბულვარის ტერიტორია. ბათუმის ბულვარი ერთერთი გამორჩეული მწვანე სივრცა ქალაქის ტერიტორიაზე, რომლის საერთო ფართობია 100 ჰექტარზე მეტია. მთლიანად ბულვარში 30000-ზე მეტი ძირი მცენარეა, საიდანაც ძირითადად შემდეგი ხე მცენარეებია გაბატონებული: ზღვისპირა ფიჭვი, კვიპაროსი, კედარი, ცხენის წაბლი, კრიპტომერია, ცაცხვი, ნეკერჩხალი, ევკალიპტი და პალმების 3 სახეობა (ფინიკის, მარაოსებრი და ქოქოსის).

უახლოეს მომავალში დაგეგმილია ბათუმის ბულვარის მწვანე საფარის კოლექცია იშვიათი და უნიკალური ჯიშის ახლო მცენარეთა სახეობებით გამდიდრდეს. მათ შორის არის საქართველოს წითელი ჩასხის წარმომადგენელი მცენარე - უთხოვარი (პირამიდალური და სფეროსებრი) (თანამდებობა ბაცვაცამირამადლის) აგრეთვე:

№ 533 ბლ. 69



№ 533 ბლ. 69



- მტირალა კედარი (BEDლUშ დეოდარა' წენდულა);
- სოფორა (შOPHOლA ჯაპონიცა' წენდულა);
- არიზონიკას კვიპაროსი (BUPლEშმUშ არიზონიცა);
- წითელი ნეკერჩხალი (AHEლ პალმატუმ 'Aტროპურპურეუმ);
- დეკორატიული ტყემალი (PლUNUშ პისსარდიი' წიგრა');
- ვარდი ჯუჯა (ღოსა მინი მიხ).

ქალაქ ბათუმის მწვანე სივრცეებში წარმოდგენილი ძირითადი ხე-მცენარეების ნუსხა
მოცემულია ცხრილში.

ქ ბათუმის მწვანე სივრცეებში არსებულ ხე-მცენარეთა ძირითადი სახეობების ნუსხა

№	დასახელება	№	დასახელება	№	დასახელება
1.	მაგნოლია დიდყვავილა Maგნოლია გრანდიფლორა	13.	პირამიდალური კიპარისი ჩუპრესსუს სემპერვირენს ფ. პყრამიდალის	25.	ქაფურის ხე ჩინნამონუმ ცამპკორა
2.	მუხა იაპონური Qუერცუს აცუტა	14.	ჰორიზონტალის პორიზონტალი კორიზონტალი	26.	ვაშინგტონია ჭავჭინგტონია ფილიფერა H. ჭენდლ.
3.	ევკალიპტი მანანის Eუცალყპტუს ვიმინალის	15.	კაკლის ხე შუგლანს რეგია	27.	ტრახიკარპუსი თრაცყვცარპუს Fორტუნეი
4.	კამელია იაპონური ჩამელლია ჯაპონიცა	16.	ზეთის ხილის ხე Oლეა ეუროპაეა	28.	ხამეროფსი (ჰუმილუსი) ჩამაეროპს ჰუმილის L.
5.	ნეკარჩხალი იაპონური Aცერ ჯაპონიცუმ	17.	პოდოკარპუსი Pოდოცარპუს	29.	ფინიკი Pჰოენიხ ცანარიენსის
6.	კედარი ჰიმალაის ჩედრუს დეოდარა	18.	მუშმულა Eრიობოტრყა ჯაპონიცა	30.	ბუცია Bუტია ცაპიტატა
7.	ფიჭვი Pინუს	19.	ტყემალი Pრუნუს ცერასიფერა	31.	ტურა თჰუჯა
8.	წყავი Laუროცერასსუს	20.	მაგნოლია სულანეის მაგნოლია სოულანგეანა	32.	აბელია Aბელია
9.	ოსმანთუსი Oსმანტკუს ფრაგრანს	21.	ხეტიტა (ლიტორდედრონი)	33.	ჭყორი Iლებ



№ 530 ხლოება

№ 530 ხლოება

			თირიოდენდონ ტულიპიფერა		
10.	ირმის რქა Laგერსტროემია ინდიცა	22.	იორდასალამი ხისებრი Раженна арධомрежа	34.	ჭანჭყატი Еუონყმუს
11.	ტერმსტრემია იაპონური თერნსტროემია ჯაპონიცა	23.	პირავანტა Рირავანტა	35.	კომშიხენომელესი (იაპონური კომში) ჩვაენომელეს ჯაპონიცა
12.	ღვია (საბალო ფორმები) შუნიპერუც შაბინა	24.	მიხელია Мицхеэлиа	36.	ფოტინია РЭОТИНІА

უშუალოდ გეგმარებითი ერთეული მცენარეული საფარით ღარიბია. სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას არსებული მწვანე საფარის მნიშვნელოვანი ნაწილი შენარჩუნდება, ხოლო განაშენიანება ითვალისწინებს ახალი გამწვანების მოწყობას.

სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას არსებული მწვანე საფარის მნიშვნელოვანი ნაწილი შენარჩუნდება, ხოლო განაშენიანება ითვალისწინებს ახალი გამწვანების მოწყობას, კერძოდ - გეგმარებით ერთეულზე დგინდება გამწვანების ვალდებულება მინიმუმ კ-3-ით განსაზღვრულ არეალში და კოეფიციენტი შეადგენს 0,2-ს - 2301,60 კვ.მ.-ს.

საპროექტო ტერიტორია მსხვილი ძუძუმწოვრებისთვის და მტაცებლებისთვის საბინადრო გარემოს არ წარმოადგენს, რადგან ტერიტორია ანთროპოგენურად დატვირთულ ზონას წარმოადგენს. პროექტის განხორცილებისას, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებით ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი ზემოქმედება უმნიშვნელო იქნება.

6.1.7 ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ზემოქმედება

პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების პერიოდში არსებობს ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ავარიული სიტუაციებითა და სამუშაო პირობების დარღვევით. ტექნიკა-დანადგარების არასწორი მართვამ, მძიმე სამუშაოებმა, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გარეშე მუშაობამ და სხვ. შესაძლებელია ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე იქონიოს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი უარყოფითი ზეგავლენა. პირდაპირი უარყოფითი ზეგავლენა შესაძლოა მძიმე შედეგებითაც დამთავრდეს.

სამშენებლო სამუშაოების განმახორციელებელმა კომპანიამ სამუშაო ზონებში უნდა უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების მაქსიმალური დაცვა. პერსონალის უსაფრთხოება რეგლამენტირებული უნდა იყოს შესაბამისი სტანდარტებით, სამშენებლო ნორმებით და წესებით. სამუშაოების წარმოებისას მშენებელი კომპანიის მიერ დანიშნული/მოწვეული უნდა იყოს შრომის უსაფრთხოების საფუძვლისტი, რომელიც უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვასა და უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვას.

№ 530 ბლკ 7



№ 530 ბლკ 7



ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა/გათვალისწინების შემთხვევაში, ადამიანების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე პირდაპირი უარყოფითი ზემოქმედება დაბალი მნიშვნელობის იქნება.

7 გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია თავისი მასშტაბიდან გამომდინარე გარემოზე მკვეთრ უარყოფით ზემოქმედებას არ იქონიებს. თუმცა პროექტით გათვალისწინებული კონცეფციის განხორციელებისას აუცილებელი იქნება გატარდეს რიგი შემარბილებელი ღონისძიებები. გასატარებელი შემარბილებელი ღონისძიებები შეიძლება დაყოფოთ ორ ჯგუფად - 1) ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შემარბილებელი ღონისძიებები და 2) გარემოსადცვითი შემარბილებელი ღონისძიებები.

ადამიანის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დასაცავად უნდა გატარდეს შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებები:

ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შემარბილებელი ღონისძიებები

- სამუშაოებში ჩართული პერსონალი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;
- დაცული უნდა იყოს სამუშაო გრაფიკი;
- საშიშპირობებიანი, მავნე და მძიმე სამუშაოების შემთხვევაში პერსონალის უსაფრთხოებისთვის უნდა გატარდეს დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებები;
- პერიოდულად გაკონტროლდეს ტექნიკა-დანადგარების გამართულობა;
- საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის მიერ უნდა დაინიშნოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვასა და უსაფრთხოების ღონისძიებების გატარებას;
- პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ცნობიერების ამაღლებისა სწავლებები უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის საკითხებზე;
- სამუშაო ზონებში გაკეთდეს მაფრთხილებელი ნიშნები.

გარემოსდაცვითი შემარბილებელი ღონისძიებები

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების და ხმაურის გავრცელების შემარბილებელი ღონისძიებები

- სამუშაოებში გამოყენებული ტრანსპორტი და დანადგარები უნდა აკმაყოფილებდეს უსაფრთხოების ნორმებს, რისთვისაც სამუშაოების დაწყებამდე უნდა შემოწმდეს მათი ტექნიკური მდგომარეობა;
- სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებისას დაცული უნდა იყოს ოპტიმალური სიჩქარე;
- ხმაურის გავრცელების პრევენციის მიზნით, მკაცრად უნდა იყოს დაცული სამუშაო გრაფიკი;
- მნიშვნელოვანი მაღალი ხმაურის გამომწვევი სამუშაოები განხორციელდეს მხოლოდ დღის საათებში;
- ქარიან ამინდში უნდა შეინიჭებოს მტვერწარმომქმნელი სამუშაოების შესრულებული დამუშავების სველი დაუთვისებით;
- სამშენებლო მასალების დამუშავებისას მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული დამუშავების სველი დაუთვისებით.

№ 530 ბლკ



№ 530 ბლკ



- ფხვიერი მასალის ტრანსპორტირების შემთხვევაში სატვირთო მანქანის ძარა უნდა გადაიფაროს შესაბამისი მასალით;
- უმჯობესია სამშენებლო მასალების ტრანსპორტირება უახლოესი კარიერებიდან/ობიექტებიდან განხორციელდეს;
- გაკონტროლდეს ჩართული ძრავით მანქანების უქმად გაჩერება და უქმად გადაადგილება;
- აიკრძალოს სიგნალის გამოყენება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს უსაფრთხოებისთვის აუცილებელია.
- პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ტრენინგი გარემოსდაცვით და უსაფრთხოების საკითხებზე.

ზედაპირულ და მიწისქვეშა წლებზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

- რეგულარულად უნდა შემოწმდეს ადგილზე მომუშავე ტრანსპორტის და აღჭურვილობის ტექნიკური მდგომარეობა ჟონვის დასადგენად;
- მკაცრად გაკონტროლდეს ნებისმიერი სახის დაბინძურებული წყლის (საკანალიზაციო, ნარეცხი და სხვადასხვა დამბინძურებლებით დაბინძურებული წყლების) ჩაშვება ზედაპირული წყლის ობიექტებში. სანიაღვრე და საკანალიზაციო წყლების ჩაშვება უნდა მოხდეს ქალაქ ბათუმის საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემებში;
- ადგილზე ტექნიკის რემონტი/ტექნიკური მომსახურეობა და გამართვა შეზღუდული იქნება. უპირატესობა მიენიჭება ტერიტორიის გარეთ მდებარე კერძო/კომერციულ ტექმომსახურების ობიექტების გამოყენებას;
- სამშენებლო ზონა აღჭურვილი უნდა იყოს ავარიულ დაღვრებზე დროული რეაგირების ინვენტარით. ასევე დასაქმებულ პერსონალს პერიოდულად უნდა ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი ავარიულ დაღვრებსა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, კომპანიის მიერ შემუშავებული უნდა იყოს ავარიულ დაღვრებზე დროული რეაგირების სათანადო ღონისძიებები;
- მკაცრად უნდა გაკონტროლდეს იმ სატვირთოების (ბეტონშემრევი) ადგილზე გარეცხვის ფაქტები, რომლებიც გამოყენებული იქნება ბეტონის სამუშაოებში;
- სამშენებლო მასალა და ნარჩენები დასაწყობდება ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული ეროზია და წარეცხვა.

ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

- სამუშაოების პერიოდში წარმოქმნილი ყველა სახის ნარჩენის მართვა განხორციელდეს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების შესაბამისად;
- გეგმარებით ტერიტორიაზე მაქსიმალურად იქნეს შენარჩუნებული არსებული ხე-მცენარეულობა;
- შენარჩუნებული იქნას საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს, საჯარო სივრცეში არსებული მცენარეულობა;
- გაკონტროლდეს ისეთი სახის აქტივობები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ ხანძრები, წყლის ან ნიადაგის დაბინძურება;
- სამუშაოები დასაქმებულ პერსონალს ჩაუტარდეს ტრენინგი გარემოსდაცვით და უსაფრთხოების საკითხებზე;
- ჩატარდეს გეგმარებითი ობიექტის ტერიტორიის გამწვანებითი სამუშაოები (ტერიტორიის განაშენიანება ითვალისწინებს ახალი გამწვანების მოწყობას, კერძოდ - გეგმარებით ერთულზე დგინდება გამწვანების ვალდებულება მონაბეჭდი კ-3-ით განსაზღვრულ არაფაში და კოფიციენტი შეადგენს 0,2-ს - 2480,00 კკ.მ.ს.);

№ 530 ხდება



№ 530 ხდება



- გამწვანებაში გამოყენებული უნდა იყოს ადგილობრივ კლიმატს შეგუებული სახეობები. სახეობების შერჩევისას ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს კლიმატის ცვლილების სამომავლო სცენარები;

ნიადაგსა და გრუნტზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

- ზეთებისა და საწვავის ავარიული დაღვრის შემთხვევაში გატარდეს დაღვრაზე რეაგირების ღონისძიებები. დაბინძურებული ფენა უნდა მოიხსნას დაუყოვნებლივ და რემედიაციისათვის გადაეცეს შესაბამისი წებართვის მქონე კონტრაქტორ კომპანიას;
- შეიზღუდება სამუშაო ზონაში მანქანების შეკვეთა/ტექნიკური მომსახურეობა და/ან საწვავით გამართვა. უპირატესობა მიერიჭება გეგმარებითი ობიექტის გარეთ არსებულ კომერციულ პუნქტებს;
- ყველა სახის წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად;
- მკაცრად უნდა იყოს დაცული სამუშაო ზონა და სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკა მოქმედებდეს აღნიშნულ ზონაში;
- პერიოდულად შემოწმდეს სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკა-დანადგარების გამართულობა;
- დეტალური პროექტირებისას უნდა შეფასდეს ზემოქმედებას დაქვემდებარებული ნიადაგის მოცულობა და მისი მართვა განხორციელდეს „ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით და „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნები.

ნარჩენების არასათანადო მართვით გამოწვეული ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

- თავიდან უნდა იქნეს აცილებული სუფთა მასალების დაბინძურების ფაქტები, რაც ხელს შეუწყობს დამატებითი ნარჩენების წარმოქმნის მინიმიზაციას;
- შესაძლებლობის შემთხვევაში მშენებელი კომპანია უზრუნველყოფს წინასწარ ფორმირებული პროდუქციის შეძენას, რაც შეამცირებს სხვადასხვა სახის ნარჩენების წარმოქმნას;
- მასალების შემოტანასა და განთავსებაზე უნდა იწარმოოს მონიტორინგი, ასევე მკაცრად გაკონტროლდეს წარმოქმნილი ნარჩენების მართვის საკითხები, რაც მინიმუმადე შეამცირებს არასასურველი ნარჩენების წარმოქმნისა და მათი არასათანადო მართვის ფაქტებს;
- სამშენებლო ნარჩენების განთავსებისთვის ტერიტორიაზე განთავსდება შესაბამისი მასალის და მოცულობის კონტეინერები, სადაც მხოლოდ სამშენებლო ნარჩენების განთავსება მოხდება;
- წარმოქმნილი ნარჩენები შემდგომი მართვისთვის გადაეცემა ამ საქმიანობაზე შესაბამისი წებართვის და/ან რეგისტრაციის მქონე პირს/კომპანიას. ქალაქ ბათუმში ნარჩენების შეგროვებასა და ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებელია ქალაქ ბათუმის მერიაში შემავალი შპს „შანდალუფთავება“, კომპანიის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები შესაძლებელია გადაეცეს აღნიშნულ კომპანია, ან

№ 530 ბლგარი



№ 530 ბლგარი



სურვილის შემთხვევაში ხელშეკრულება გაფორმდეს სხვა ფიზიკურ/იურიდიულ პირთან.

- სამუშაოების პერიოდში წარმოქმნილი ყველა სახის ნარჩენის მართვა განხორციელდეს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების შესაბამისად;
- დასაქმებულ პერსონალს ექნება შესაბამისი ინფორმაცია ნარჩენების სათანადო მართვის საკითხებთან დაკავშირებით.

8 დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ:

- გეგმარებითი ერთეულზე არ არის დაგეგმილი, ჰაერის, წყლის და ნიადაგის დამაბინძურებელი მასშტაბური ობიექტების განთავსება;
- სამშენებლო სამუშაოების წარმოების დროს წარმოშობილი ზედმეტი გრუნტი და სამშენებლო ნარჩენები გატანილ იქნება შესაბამისი სამსახურების მიერ მითითებულ ტერიტორიაზე;
- სასტუმრო კომპლექსები თავისი სპეციფიკით არ გამიწვევს ხმაურს და აკუსტიკური რეჟიმის ფონური მდგომარეობის გაუარესებას;
- ტერიტორიაზე არ არის წარმოდგენილი ჭარბტენიანი ტერიტორიები, ამდენად მათზე რამე სახის უარყოფითი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.
- გეგმარებითი ობიექტის მიმდებარედ არსებული გზები და ნაკვეთები უზრუნველყოფილია სანიაღვრე სისტემით, რაც ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედებას მნიშვნელოვნად ამცირებს;
- ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო და სხვა სახის ნარჩენების (სახეობის მიხედვით დახარისხებული) გატანა მოხდება ორგანიზებულად ქალაქ ბათუმის დასუფთავების სამსახურის მიერ შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე;
- თავისი სპეციფიკის, მასშტაბისა (ზემოქმედებას დაქვემდებარებული ტერიტორია შეადგენს დაახლოებით 11508 კვადრატულ მეტრს, სადაც გათვალისწინებულია გამწვანებული სივრცის მოწყობაც) და მდებარეობიდან გამომდინარე ობიექტის მშენებლობამ და ექსპლუატაციამ არ შეიძლება გამოიწვიოს რამე ტრანსსასაზღვრო უარყოფითი ზემოქმედება;

გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და სტანდარტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებისა და სწორი მენეჯმენტის პირობებში, ქალაქ ბათუმში, ნინოშვილის ქ. №39-ში არსებული მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.23.02.020) და შ. რუსთაველის ქ. №44-ში არსებული მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.23.01.001), სამშენებლოდ განვითარების მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის განხორციელება, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას არ იქონიებს.

რ. 532 ბლგარი




რ. 532 ბლგარი




9 დანართები

9.1 დანართი 1. ჰაერის საშუალო ტემპერატურის ცვლილებების რუკები

რუკა 1 ჰაერის საშუალო ტემპერატურის ცვლილება ($^{\circ}\text{C}$) იანვარში ორ ოცდაათწლიან პერიოდს შორის (1956–1985 და 1986–2015)



რუკა 2 ჰაერის საშუალო ტემპერატურის ცვლილება ($^{\circ}\text{C}$) ივლისში ორ ოცდაათწლიან პერიოდს შორის (1956–1985 და 1986–2015)




ი. 530 ხლოება




ი. 530 ხლოება



რუკა 3 ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურის ცვლილება ($^{\circ}\text{C}$) ორ ოცდაათწლიან პერიოდს
შორის (1956–1985 და 1986–2015)




რუკა 4 ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა ($^{\circ}\text{C}$) 1986–2015 წლებში




9.2 დანართი 2 ატმოსფერული ნალექების რაოდენობის ცვლილებების რუკები

რუკა 5 ატმოსფერული ნალექების საშუალო რაოდენობის ცვლილება (%) იანვარში ორ თვედათწლიან პერიოდს შორის (1956–1985 და 1986–2015)



რუკა 6 ატმოსფერული ნალექების საშუალო რაოდენობის ცვლილება (%) ივლისში ორ თვედათწლიან პერიოდს შორის (1956–1985 და 1986–2015)




რ. 330 ხურიელი




რ. 330 ხურიელი



რუკა 7 წლიური ატმოსფერული ნალექების საშუალო რაოდენობის ცვლილება (%) ორ ოცდაათწლიან პერიოდს შორის (1956–1985 და 1986–2015)



რუკა 8 ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა (მმ) 1986–2015 წლებში



პატივისცემით,

შპს „ბრიტიშ დეველოპმენტი“-ს
დირექტორი

შპს „ვესტინვესტი“-ს
დირექტორი

